ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 11 აგვისტო 2001 №151 (1424) | ფასი 50 თეთრი


# ფეხბურთი პლაჟზე
## ხვალ თბილისი უდაბნოა



მალტამოვლილ რკინიგზელებს ხვალ „კოლხეთი" შეუტევს

ბადრი ქათამაძის ფოტო

მესამე ტურის შეხვედრათა განრიგის ჩათვალიერებისას კაცი იფიქრებს, ფედერაციის ჩინოსნებს თბილისი აუთვალწუნებიათო. მართლაც, თუ ვინმეს ეროვნული ჩემპიონატის საკვირაო მატჩების თბილისში ხილვა სურს, ამაოდ გაირჯება. კვირას თბილისი უფეხბურთოდ რჩება და ქომაგის ყურადღებაც უმეტესად ზღვისპირისკენაა მიპყრობილი. ბათუმში ერთმანეთს „ბათუმი" და „დინამო" შეხვდებიან, ფოთში „კოლხეთი" და „ლოკომოტივი", ამათი მატჩები კი სხვებისას რომ სჯობს და უშელავათოც არის, ამას ფიცი-მტკიცი არ სჭირდება. ამ რამდენიმე საპირველგვერდო სტრიქონში ადგილი ბოლნისის „სიონმაც" დაიჭირა, რომელიც კვირას განახლებულ სტადიონზე დაიწყებს მეცამეტე ეროვნულს.

იხილეთ მესამე გვერდი

საქართველოს 13 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

## 3 ტური

12 აგვისტო, კვირა

| |
|---|
| კოლხეთი – ლოკომოტივი |
| გურია – ტორპედო |
| სიონი – სამგურალი |
| გორდა – მერანი |
| ბათუმი – დინამო |
| მეტალურგი – ვიტ ჯორჯია |

# სინანული თამაშგარედან: ფეხბურთის არ იყოს, სირბილიც ყველამ ისწავლა

მე-7 დღე ჯერჯერობით ყველაზე უხმაურო გამოდგა ედმონტონში მიმდინარე მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ბერძენი ოლიმპიური ჩემპიონი კოსტადინოს კენტერისი მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა, კუბელი ანიერ გარსია — ვერა, მაგრამ 110 მეტრზე თარჯრბენში მას უცხო ვინმემ კი არა, ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონმა ალენ ჯონსონმა გაუსწრო. დღის მთავარი ამბავი ალბათ მაინც ვაჟთა 200 მეტრზე სირბილი იყო, რომელიც კენტერისმა დამაჯერებლად მოიგო, პრიზიორთა დადგენა კი ელექტროაპარატურისთვისაც კი დიდი ხათაბალა გახდა: მე-7 ადგილზე გასულმა ვიცე-ჩემპიონთან მხოლოდ 0,05 წამი წააგო. კიდევ, ქოკით ხტომაში ნატურალიზებული ავსტრალიელი დმიტრი მარკოვი გადაახტა ყველას, ხოლო ედმონტონის შემოგარენში სპორტულად მოარულმა მანდილოსნებმა 20 კილომეტრი გალიეს.

იხილეთ მეცხრე გვერდი



დრამატული ფინიში: კოსტადინოს კენტერისს ძალიან შეკრული ზანგთა გუნდი მისდევს

უეფას თასი 2001-02. საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

## ბირკირკარა 0:0 ლოკომოტივი

ბირკირკარა. „ტა ქალი". 9 აგვისტო

# ცალკარა და ბირკირკარა
## ცხადაძის უპირატესობა ნულია



თბილისის „ლოკომოტივის" „ტა ქალიზე" ნათამაშევი ნულოვანი ფრე წარმატებად და წარუმატებლობადაც უნდა ჩაეთვალოთ ჩვენებურთ.

მოდით, ისიც პირდაპირ ვთქვათ, რომ ქართული ფეხბურთის გადამკიდეთ ისიც გვეფიქრებოდა, „ლოკომოტივმა" მალტაში არ წააგოსო.

ახლა კი „ლოკომოტივს" არწაგებით საპასუხო მატჩში დიდი შანსი აქვს შემდეგ ეტაპზე გასავლელად.

– ჩვენ უნდა მოგვეგო – გვითხრა თბილისში დაბრუნებულმა ლოკომოტიველთა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ – ვიცი, ტელევიზიით ეს თამაში არავის გინახავთ და, ეგებ სხვანაირადაც იფიქროთ, მაგრამ, ჩემი აზრით, ბევრის თქმაც არ არის საჭირო, „ბირკირკარასთან" მატჩში უდავო იყო ჩვენი უპირატესობა.

**— კონკრეტულად ეს რაში გამოიხატებოდა?**

— პირველ ყოვლისა, ტაქტიკურ მომზადებაში, ჩვენ მეტოქეზე არანაირი ინფორმაცია არ გვქონდა. მალტელებმა თავისი ბოლო მატჩის ფირიც არ დაგვახვედრეს. არადა, ამაზე წინასწარ ვიყავით შეთანხმებულნი.

**— და მაინც, ქომაგნი ფიქრობენ, რომ „ბირკირკარასთან" უნდა მოგეგოთ...**

— კი, მაგრამ, ისიც ხომ სათქმელია, შვიდი-რვა რეალური მომენტი რომ ვერ გამოვიყენეთ?.. უნდა მოგვეგო, გეთანხმებით, მაგრამ მე ვფრთხილობდი, ერთი თავდამსხმელით თამაში დავავალე გუნდს. ნებისმიერი მეტოქე იყოს, 0:0 შინ საპასუხო მატჩისას დიდი უპირატესობაა.

**— შეგიძლიათ თქვათ, რომ „ბირკირკარასთან" საპასუხო მატჩის წინ „ლოკომოტივის" შანსები გაიზარდა?**

— გაიზარდა კი არა, შემდეგ ეტაპზე ჩვენ უნდა გავიდეთ. „ლოკომოტივი" „ბირკირარაზე" ძლიერი გუნდია. თუნდაც ის რად ღირს, შვიდი-რვა ასპროცენტიანი მომენტი რომ ვერ გამოვიყენეთ. სამჯერ ანჩაბაძის ჩინებული პასის შემდეგ ბიჭები მალტელ მეკარესთან პირისპირ დარჩნენ, მაგრამ... „ბირკირკარას" კარგი მეკარე ჰყავს.

**— და მაინც, უნდა მოგეგოთ...**

— უნდა მოგვეგო, მაგრამ... იცით, მეტოქეს არ ვიცნობდით და მე ჩემებური სამწვრთნელო მეთოდი მაქვს — ყველასთან თავდადებულად უნდა ვიბრძოლოთ. მეტოქე გინდ „ბირკირკარა" იყოს, გინდ ნებისმიერი გუნდი. რა თქმა უნდა, სტუმრად სხვა ტაქტიკით და სხვა სათადარიგო სკამით ვითამაშეთ, შინ კი...

**— „ბირკირკარასთან" რამდენი თავდამსხმელით ითამაშეთ?**

— მალტაში ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი გვყავდა — კახა გოგიჩაიშვილი. თბილისში, დარწმუნებული იყავით, სულ სხვაგვარი ტაქტიკით და განლაგებით ვითამაშებთ, „ბირკირკარა" არ არის ის გუნდი, ჩვენ მოგვიგოს.



მალტაში უგოლოდ დარჩენილი გოგიჩაიშვილი (მარჯვნივ) თბილისში გატანას ეცდება

„ტა ქალიზე" „ლოკომოტივმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ლომაია; დავითნიძე, ხალუქაძე, ლაცაბიძე; ონიანი, ბალაშვილი, გ. ქორიძე, გილაური, ჭიჭვეიშვილი, ანჩაბაძე (დათვაძე 66), გოგიჩაიშვილი.*

**კობა ინასარიძე**

# გიორგი ქინქლაძე: 74 წუთი ბარსელონასთან

**ფაბრიციო რავანელით** გაძლიერებულმა „დერბი ქაუნთიმ" ამ დღეებში ბალტიური ტურნე მოაწყო და საქმეს ისეთი პირი უჩანს, კარს მომდგარ პრემიერლიგის სეზონში იტალიელი „ცხვრების" ახალი ლიდერი იქნება: ესტონურ „ფლორასთან" და ფინურ „სალპასთან" მოგებულ შეხვედრებში ფაბრიციომ ოთხი გოლი გაიტანა.

ამ ტურნეში დერბელებს არ ახლდა გიორგი ქინქლაძე, რომელმაც, უკვე გაუწყეთ, პასპორტი დაკარგა და მისი ინგლისიდან გასვლა, ცხადია, ვერ მოხერხდა. გიო დერბიში დარჩა და სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში ნონლიგის „ნიუმარკეტ თაუნს" ეთამაშა. „დერბის" სათადარიგოებმა 3:0 მოიგეს, კლუბის საინტერნეტო გვერდი კი გვაუწყებს, რომ ქინქლაძე ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო მთელი მატჩის განმავლობაში.

გუშინ კი „პრაიდ პარკზე" საინტერესო მატჩი ჩატარდა. ტურნედან დაბრუნებულმა ძირითადმა „დერბიმ" „ბარსელონას" უმასპინძლა. ეს იყო „ცხვრების" ბოლო სპარინგ-შეხვედრა პრემიერლიგის პირველ ტურამდე: 18 აგვისტოს ჯიმ სმიტის ბიჭები უკვე „ბლექბერნს" უმასპინძლებენ.

დერბელები ვერას გახდნენ სახელოვან მეტოქესთან და 0:3 დამარცხდნენ. ქინქლაძემ 74 წუთი ითამაშა, მერი ის ჯიმ სმიტმა ბარტონით შეცვალა.

**ნიკა ზუბლაძე**



წლეულს მაინც თუ გაცხარდებიან „ცხვრები" და ქინქლაძე?

# ჩივაძე ყველას დაელაპარაკა





გოჩა ჯამარაული და ალექსანდრე იაშვილი ნაკრებს უბრუნდებიან

**თუ ამ კვირაში** მთელი ყურადღება უეფას თასზე მოთამაშე ქართული გუნდებისკენ გვქონდა მიპყრობილი, მომდევნოში ეროვნულ ნაკრებზე მოგვიწევს გადართვა. 15 აგვისტოს ჩვენი უპირველესი გუნდი ახალდანიშნული მწვრთნელით პირველ მატჩს გამართავს — ალექსანდრე ჩივაძე სტუმრად ლუქსემბურგთან გააჯიბრებს შეგირდებს.

ჩივაძემ თორმეტი დღის წინ დაასახელა ფეხბურთელთა 21-კაციანი სია, რომელიც 18-მდე უნდა შემცირებულიყო და ასეც მოხდა — გუშინ ჩივაძემ სალუქსემბურგოდ ეს ფეხბურთელები შეარჩია. *მეკარეები: გიორგი ლომაია („ლოკომოტივი"), დავით გვარამაძე („ტორპედო")"; მცველები: ელიკ საჯაია („ტორპედო", რუსეთი), ზურაბ ხიზანიშვილი („დანდი", შოტლანდია), ოთარ ხიზანეიშვილი („როსტსელმაში", რუსეთი), რევაზ ქემოკლიძე („ტორპედო"), გიორგი შაშიაშვილი („დინამო"); ნახევარმცველები: გივი დიდავა, მალხაზ ასათიანი (ორივე „ტორპედო"), როინ ონიანი („ლოკომოტივი"), ლადო ბურდული („დინამო"), გოჩა ჯამარაული („ციურიხი", შვეიცარია), ლევან ცქიტიშვილი („ფრაიბურგი", გერმანია), გიორგი გახოკიძე („ეინდჰოვენი", ჰოლანდია); თავდამსხმელები: ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი", გერმანია), გიორგი დემეტრაძე („სოსიედადი", ესპანეთი), რატი ალექსიძე („ჩელსი", ინგლისი), ზაზა ჯანაშია („ლოკომოტივი", რუსეთი)*

ადრე დასახელებული 21 ფეხბურთელიდან სიაში ვერ მოხვდნენ სერგო ჭურაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი აბრამიძე (ტორპედო) და არჩილ სახვაძე (დინამო).

შეგახსენებთ, ლუქსემბურგისთვის გამოძახებულნი არ არიან ის მოთამაშეები, რომლებიც ნაკრებში ბოლო დროს ხშირად ხვდებოდნენ. ჩივაძემ ამ ათი კაცის ვინაობაც ადრევე დაადგინა: *კახა კალაძე, თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე, არჩილ არველაძე, შოთა არველაძე, მიხეილ ყაველაშვილი, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე რეხვიაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, გიორგი ნემსაძე.* ეს ათეული თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, 28 აგვისტოს იქნება გამოძახებული მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩისთვის უნგრეთის ნაკრების წინააღმდეგ, რომელიც 1 სექტემბერს ჩატარდება თბილისში, „ლოკომოტივის" სტადიონზე.

ნაკრების მწვრთნელები ქართული გუნდების ფეხბურთელებით 13 აგვისტოს გაემგზავრებიან თბილისი-პრაღა-ფრანკფურტი ავიარეისით, ლეგიონერები კი ლუქსემბურგში შეუერთდებიან გუნდს. მატჩი თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება.

**ალექსანდრე ჩივაძეს,** რომელსაც ნაკრების მთავარ მწვრთნელად ხელმეორედ დანიშვნის შემდეგ 15 აგვისტოს დებიუტი ექნება, რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ.

**— ჯამარაულსა და იაშვილს კონფლიქტი ჰქონდათ გუნდის ყოფილ მწვრთნელებთან და ნაკრებში თამაშს უარობდნენ. ახლა როგორაა საქმე?**

— პრობლემები, აღარაა, მათ უკვეველაპარაკე და ისინი ნაკრებში ითამაშებენ.

**— ზაზა ჯანაშიაც?**

— რა თქმა უნდა. მას, ისე როგორც ყველას, ტელეფონით ვესაუბრე. ის გუნდთან ერთად იქნება ლუქსემბურგში.

**— 21-კაციანი სიის შემოკლების შედეგად ნაკრებს მიღმა მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები დარჩნენ. იმათ გარდა, ვინც სალუქსემბურგოდ გამოიძახეთ, ქართული გუნდებიდან აღარავის დააკვირდებით?**

— პირიქით, კვლავაც თვალყურს მივადევნებ საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებს. მათ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში კიდევ დავაკვირდები და, შესაძლოა, უნგრეთისთვის გამოძახებულ შემადგენლობაში ახალი გვარებიც ამოიკითხოთ.

ბელგიური „ლიერსიდან" გელა შეყილაძის გამოძახებისგან კი თავი შევიკავეთ.

**დავით თავართქილაძე**

### გერმანია
**მეორე ბუნდესლიგა**

III ტური

დუისბურგი 3:3 როიტლინგენი

არმინია 5:0 ვალდჰოფი

ბოხუმი 2:1 მაინცი

### თურქეთი

I ტური

ბეშიქთაში 1:2 ტრაბზონი

### პორტუგალია
**პირველი ლიგა**

I ტური

ბოავიშტა 3:0 ბეირა მარი

### საფრანგეთი
**მეორე დივიზიონი**

III ტური

ლე ავრი 0:0 ნანსი

### ჩეხეთი

III ტური

სპარტა 1:2 ლიბერეცი

### შვეიცარია
**B ჯგუფი**

VII ტური

ბელინცონა 0:2 თუნი

საქართველოს უმაღლესი ლიგის 13 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 3 ტური

ანონსი

# დედაქალაქი უფეხბუროდ

**ფოთი. ფაზისი. 12 აგვისტო. 18.30 საათი**

## კოლხეთი — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 12 აგვისტო. 18.30 საათი**

## გურია — ტორპედო

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

**ბოლნისი. თემურ სტეფანია. 12 აგვისტო. 18.30 საათი**

## სიონი — სამგურალი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

**რუსთავი. ფოლადი. 12 აგვისტო. 18.30 საათი**

## გორდა — მერანი

მსაჯები: ა. მეშკოვი; მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

**ბათუმი. დინამო. 12 აგვისტო. 18.30 საათი**

## ბათუმი — დინამო

მსაჯები: მ. მაღალურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); დ. სანაია (სოხუმი) ; სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

**ზესტაფონი. მეტალურგი. 12 აგვისტო. 18.30 საათი**

## მეტალურგი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ი. შალამბერიძე (ორივე თბილისი) ა. სამხარაძე (სოხუმი); კ. მქახი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ლ. ყიფიანი

*კვირას ჩვენი ქვეყნის ექვს ქალაქში მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტური და ახალ სეზონში პირველად ექვსივე მატჩი ერთსა და იმავე დროს დაიწყება. იშვიათი შემთხვევაა, ამ ტურში დედაქალაქი უფეხბურთოდ რჩება, რადგან სამივე თბილისურ კლუბს სტუმრად უწევს თამაში.*

*სატურნირო ვითარებას თუ გადავხედავთ, ინტრიგა ტურს უთუოდ აქვს. სხვა თუ არაფერი, ოთხი თანაბარქულიანი გუნდი ხვდება ერთმანეთს, ისეთები, სადღეისოდ, ოთხოთხი ქულით მეორე-მეხუთე ადგილებს რომ ინაწილებენ.*

*გუნდები იმგვარად არიან დაწყვილებულნი, რომ სეზონში პირველად, ალბათ, სტუმარიც გაიხარებს. შეგახსენებთ, რომ განვლილ ორ ტურში, ანუ თორმეტ მატჩში სტუმართა მონაგარი მხოლოდ და მხოლოდ სამი ფრეა.*

*იმის თქმაც ნუ დაგვავიწყდება, რომ წლეულს პირველად ტურს დისკვალიფიკაციის გამო არც ერთი ფეხბურთელი არ გამოტოვებს. აქაიქ ტრავმირებულები კი არიან, მაგრამ დანაკლისი არცთუ დიდია და გუნდებს ბრძოლის და შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენის შანსი აქვთ.*

*მაშ ასე, ტურის ანონსი ცენტრალური მატჩით დავიწყოთ, ქვემოთ გუნდების ურთიერთშეხვედრების მაჩვენებლებსაც გაეცანით.*

### ბათუმი — დინამო

**ბათუმში:** 12 +3=2-7 **ბურთები:** 15:21
**სულ:** 25 +3=7-15 **ბურთები:** 23:47

მეორე ტურში ორივე გუნდმა ფრედ ითამაშა. ბათუმელთათვის „ვიტ ჯორჯიასთან“ საგარეო ქულა წარმატებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რასაც ვერ ვიტყვით „დინამოზე“. თბილისელებმა „ეროვნულზე“ ვერაფერი მოუხერხეს რუსთავის „გორდას“.

„დინამო“ გადაღლილია, რადგან ასეთ? ჩემპიონს ხუთშაბათს ურთულესი მატჩი ჰქონდა უეფას თასზე ბელარუსულ „ბატესთან“. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ გივი ნოდიას გუნდს ბათუმური მატჩისთვის მოსამზადებლად, ფაქტობრივად, დრო არ დარჩენია. ფეხბურთელებს მთელი ყურადღება „ბატესთან“ შეხვედრაზე ჰქონდათ გადატანილი და „დინამოს“ აქტივში იმას თუ ჩავუთვლით, რომ გამარჯვებულის ნირით ესტუმრება ზღვისპირეთს. ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებს თუ გადავხედავთ, დედაქალაქელებს აშკარა უპირატესობა აქვთ. განვლილ თორმეტ ჩემპიონატში „ბათუმმა“ მხოლოდ სამჯერ შეძლო „დინამოს“ წაქცევა. აქედან მეორე მატჩის მოსაგებად მთელი 7 წელი დასჭირდა. თუმც ისიც სათქმელია, რომ მაშინ სხვა „დინამო“ იყო. შეცვლილია „ბათუმიც“, მაგრამ წლებმა კვალი ათგზის ჩემპიონს უფრო დაატყო. დღეს რომაა, ისეთი გადახალისებული „დინამო“ არასდროს ყოფილა.

ასე თუ ისე, ბათუმში ნერვიული და უშეღავათო თამაშია მოსალოდნელი. შინაურ კედლებში მასპინძლები ორი წლის წინანდელის გამეორებას შეეცდებიან — მაშინ იყო „ბათუმმა“ მესამედ რომ დაამარცხა უხერხული მეტოქე. ცხადია, თავის მხრივ, ცდას არც ახალგაზრდა დინამოელები დააკლებენ, ოღონდ, ისიც საკითხავია, რა ენერგია შერჩათ საბათუმოდ ნოდიას შეგირდებს.

და ერთიც, წარმატებისთვის თბილისელებმა ბოლომდე უნდა მოახერხონ კონცენტრირება, თორემ ზედიზედ ორი მატჩია, ბოლო წუთებზე უშვებენ გოლს.

### კოლხეთი — ლოკომოტივი

**ფოთში:** 4 +2=2-0 **ბურთები:** 4:0
**სულ** 8 +3=4-1 **ბურთები:** 11:6

მეორასე, საიუბილეო მატჩის მოგების სამზადისშია ფოთის „კოლხეთი“.

იუბილეს გარეშეც ჰაერივით სჭირდება გონს მოსასვლელად სამი ქულა სოსო ფილიას გუნდს. კოლხები წინა ტურში ქუთაისში 0:3 შერცხვნენ ჩემპიონ „ტორპედოსთან“. იმ მატჩის შედეგზე გავლენა მოახდინა მსაჯმა ზურაბ ანიაშვილმაცო, ამტკიცებენ კოლხები. ამიტომ სფფ-ში მატჩის ვიდეოჩანაწერი აფრინეს, თუმც სათავისოდ რას გამორჩებოდნენ ფედერაციას, ეგ არის, ერთი თვით უსაქმოდ დატოვეს გორელი არბიტრი.

ფოთში სიახლეა. ისევ დატრიალდა კარუსელი და „კოლხეთს“ კახა კვეტენაძე დაუბრუნდა. გეხსომებათ, ამ ფეხბურთელმა ორიოდე კვირის წინ სამჯერ მიიღო ფოთელთა წინადადება, ამდენჯერვე უარყო და ბედის საძიებლად უკრაინას მიაშურა. როგორც ჩანს, კვეტენაძის უკრაინული ვოიაჟიდან არაფერი გამოვიდა და მასაც სხვა რა გზა ჰქონდა, ისევ „კოლხეთს“ მიადგა. ფოთელებმაც დაივიწყეს წყენა და ექსტორპედოელ ნახევარმცველს კარი გაუღეს. მიუხედავად ამისა, გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ კვეტენაძე ხვალ „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ ითამაშებს. ამასთან დაკავშირებით სოსო ფილიამ გუშინ გვითხრა, დარწმუნებული არ ვარ, კახას ძირითად შემადგენლობაში დავაყენებ თუ არაო. არადა, კოლხებს უმთავრესი პრობლემა სწორედ შუა ხაზში აქვთ.

რკინიგზელებზეც ვთქვათ: კახა ცხადაძის გუნდმა იმედისმომცემ ფრეს გამოჰკრა ხელი სტუმრად „ბირკირკარასთან“. წესით და რიგით, „ლოკომოტივს“ არ უნდა გაუჭირდეს მალტური ბარიერის დაძლევა, მაგრამ მეორე ფრონტზე — შინაურ ჩემპიონატშიც არა აქვს მოდუნების საშუალება. კვირას „კოლხეთს“ ხომ გადაღლილი სტუმრობს, 18 აგვისტოს უპრინციპულესი შეხვედრა აქვს ჯანი კარნევალის „ვიტ ჯორჯიასთან“ და საკითხავია, მოახერხებს თუ არა ძალების გადანაწილებას ამ მატჩებისთვის. ისე, საინტერესოა, გატეხენ თუ არა ნავსს რკინიგზელები. მოგებას ვინ ჩივის, ამ გუნდს ფოთში გოლი რაა, დღემდე ისიც არ გაუტანია.

### გორდა — მერანი

**რუსთავში:** 6 +0=4-2 **ბურთები:** 4:8
**სულ:** 12 +0=6-6 **ბურთები:** 8:19

ამ მატჩსაც ახლავს თავისებური ინტრიგა. „მერანი“ მართლაც უხერხული მეტოქეა რუსთაველთათვის. ეროვნულ ჩემპიონატებში „გორდას“ არც ერთხელ არ უმარჯვია ავჭალურ კლუბთან. 12 მატჩში ექვსჯერ დამარცხდნენ რუსთაველები და ამდენჯერვე გამორჩნენ ფრეს. „მერანი“ იყო, შარშანწინ რომ გადაელობა „გორდას“ და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის შანსი მოუსპო.

კვირის შეხვედრას ერთობ უფრთხიან წლეულს ავჭალელები. იქაურთა თქმით, „გორდა“ ერთობ სახეცვლილია და მისი სტუმრად დაჩაგვრა გმირობის ტოლფასია. მშვიდად არც რუსთაველები არიან. ჯერ ერთი, აქამდე დაუმარცხებელ მეტოქესთან უწევთ თამაში, მეორეც, „მერანი“ წლეულსაც მონდომებულია და სტაბილური შემადგენლობის წყალობით გარკვეული სიურპრიზებიც შეიძლება შემოგვთავაზოს.

გუშინდლამდე რუსთაველებს დიდი საწუხარი ჰქონდათ — 8 აგვისტოს, ვარჯიშისას ვარლამ კილასონია დაშავდა. „გორდას“ ლიდერს კუნთი დაეჭიმა, მაგრამ, მასპინძელთა საბედნიეროდ, გუშინ გაირკვა, რომ კილასონია კვირისთვის მომჯობინდება და თავისიანებს გაუძღვება. მასზე მართლაც ბევრი რამ არის დამოკიდებული და თუკი ჩვეული შემართებით გაისარჯა, იქნებ ისტორიულ გამარჯვებაშიც დაიდოს წილი. ტრავმა მოიშუშა ალექსანდრე კიტეიშვილმაც და შესაძლოა ეს ფეხბურთელი შეცვლაზე ვიხილოთ „გორდას“ შემადგენლობაში. „მერანი“ კი, ალბათ, გასვლით მატჩებისეულ პრინციპს არ უღალატებს და კონტრშეტევებზე შეეცდება სარგებლის ნახვას.

### გურია — ტორპედო

**ლანჩხუთში:** 10 +7=2-1 **ბურთები:** 25:16
**სულ:** 21 +7=2-12 **ბურთები:** 28:45

ლანჩხუთში ჩემპიონი ჩადის. „გურია“ მოუგებელი ხვდება ქულადაუკარგავ „ტორპედოს“. ქუთათურები ქართული გუნდების კვალობაზე წლეულსაც შთამბეჭდავად გამოიყურებიან. აქამდე ჩატარებულ ორ მატჩში „ტორპედო“ 6 ქულას და ხუთ უპასუხო გოლს ითვლის. თანაც რა მეტოქეებთან — „ლოკომოტივთან“ და „კოლხეთთან“. ძოძუაშვილის გუნდი ბუნებრივია, ლანჩხუთშიც ფავორიტია.

„გურიამ“ ჩემპიონატში დაბრუნება „მერანთან“ მოპოვებული საშინაო ქულით კი აღნიშნა, მაგრამ შემდეგ მასავით ქვედა ლიგიდან აღზევებულ „სამგურალთან“ დამარცხდა წყალტუბოში.

ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებს თუ გადავავლებთ თვალს, საინტერესო რამეს აღმოვაჩენთ. წლების მანძილზე „გურია“ იმარჯვებდა ლანჩხუთში და მარცხდებოდა ქუთაისში. ერთადერთი საშინაო მარცხი გურულებმა 1999 წელს იგემეს, როცა 1:5 დაეჩაგვრინნენ მეტოქეს. სხვათა შორის, იმ წელს „გურია“ უმაღლესი ლიგიდან გავარდა.

### სიონი — სამგურალი

**ბოლნისში:** 4 +4=0-0 **ბურთები:** 9:0
**სულ:** 8 +4=0-4 **ბურთები:** 9:4

დღემდე ფრედ ერთხელაც არ დამთავრებულა ამ გუნდების მატჩები. ბოლნისში სულ „სიონი“ იგებდა, წყალტუბოში კი „სამგურალი“. პარადოქსია, რომ ურთიერთშეხვედრებში სტუმრებს ერთი გოლიც კი არა აქვთ გატანილი. ბოლნისშიც და წყალტუბოშიც დღემდე მხოლოდ მასპინძლებს გაჰქონდათ.

შეიცვლება ამჯერად ტრადიცია? ვნახოთ.

დიდ სამზადისში არიან ბოლნისელები, ახალ სეზონში განახლებულ სტადიონზე პირველად მოუწევთ თამაში. სწორედ სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიზეზით იყო, „სიონმა“ შინ დაგეგმილი პირველი ტურის მატჩი სტუმრად რომ გამართა „დინამოსთან“.

ამჯერად ფირუზ რეხვიაშვილის გუნდს საკუთარი მაყურებლის თვალწინ მოუწევს შელახული რეპუტაციის აღდგენა, რადგან უქულო და უგოლოა დღემდე. „სამგურალი“ კი გასულ ტურში „გურიას“ ძლევითაა გულმოცემული. მიუხედავად ამისა, გია გიგატაძის გუნდისგან ბოლნისელთა წაქცევა საკვირველი იქნება.

### მეტალურგი — ვიტ ჯორჯია

კვირას ამ გუნდებს შორის პირველი ოფიციალური მატჩი გაიმართება. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ იმერლები ვეტერინარებს სტუმართმოყვრულად დაუხვდნენ. ეს იქნება ბრძოლა პირველი გამარჯვებისთვის, თანაც ზესტაფონელები ამ ჩემპიონატში პირველ საშინაო შეხვედრას ატარებენ. ბათუმსა და თბილისში ზედიზედ ორი წაგების შემდეგ ვასილ ჭეიშვილის შეგირდები შეეცდებიან, გულშემატკივრები გაახარონ. თავის მხრივ, არც ჯანი კარნევალის ბიჭები აპირებენ სტატისტის როლში ყოფნას. ისინიც მოუგებელნი არიან და ლიხს იქიდან სამი ქულით დაბრუნებას გეგმავენ. მოკლედ, უინტერესო მატჩი არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, ბრძოლა აქაც იქნება.

**ბაატა ძგანტალიანი**



შარშანდელი „გორდა“ — - „მერანი“ 2:2 მორჩა. რუსთაველი სანდრო ბურნაძე და თბილისელი სოსო დევიძე ხვალაც არაფერს დაუთმობენ ერთმანეთს

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 მერანი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 3 ბათუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 4 დინამო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 გორდა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 6 კოლხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 7 ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 8 სამგურალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:7 | -4 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | -6 | 0 |
| 9 ვიტ ჯორჯია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 |
| 10 გურია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 11 მეტალურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |
| 12 სიონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 |

# უეფას თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი

პირველი მატჩები. 9 აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CUP

ნეფტჩი (აზერბაიჯანი) 0:0 გორიცა (სლოვენია)
პუხოვი (სლოვაკეთი) 3:0 სლიმა (მალტა)
1:0 ბრეშკა (10), 2:0 ბერნისი (67), 3:0 ბელიაკი (71)
რუჟომბეროკი (სლოვაკეთი) 3:1 ბელშინა (ბელარუსი)
პოლონია (პოლონეთი) 4:0 ლანსანტფრეიდი (უელსი)
1:0, 2:0 ტარაჩულსკი (70, 80), 3:0, 4:0 მოსკალი (89, 90)
დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) 1:0 დინამო (ტირანა, ალბანეთი)
1:0 ნიკულესკუ (35პ)
ცსკა (კიევი, უკრაინა) 2:0 იოკერიტი (ფინეთი)
1:0 კოსტიშინი (22), 2:0 მალცევი (50)
ბრაშოვი (რუმინეთი) 5:1 აშტარაკი (სომხეთი)
1:0 ბუგა (20), 2:0, 3:0 შანდორი (23, 27), 4:0 ისაილა (49), 4:1 ნაზარიანი (57), 5:1 ბადეა (60)
არარატი (სომხეთი) 0:2 ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)
ობილიჩი (იუგოსლავია) 4:0 გოტუ (ფარერები)
1:0 სიმონოვიჩი (26), 2:0 ზორიჩი (43), 3:0 მლადენოვიჩი (49), 4:0 ფილიპოვიჩი (65)
პელისტერი (მაკედონია) 0:2 სენტ გალენი (შვეიცარია)
0:1 ნეტო გვიდო (4), 0:2 დელ სანტო (90)
დინაბურგი (ლატვია) 2:1 ოსიეკი (ხორვატია)
0:1 ვუკა (56), 1:1 დოროში (59), 2:1 პუჩინსკი (84)
ტრანს ნარვა (ესტონეთი) 1:3 ელფსბორგი (შვედეთი)
0:1 ლუნდსტრომი, 0:2 ანდრეასონი, 1:2 გრუზნოვი, 1:3 ადრეასონი
შახტიორი (ბელარუსი) 1:2 ცსკა (სოფია, ბულგარეთი)
ტირანა (ალბანეთი) 3:2 აპოლონი (კვიპროსი)
0:1, 0:2 ქსოფარიდისი (4, 47), 1:2 ფორტუზი (57), 2:2 კენესეი (74), 3:2 ფორტუზი (82)
ჰიკ (ფინეთი) 2:1 ვენტსპილსი (ლატვია)
1:0 კალიო (37), 1:1 რიმკუსი (64პ), 2:1 იენსენი (76)
ატლანტასი (ლიტვა) 0:4 რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი)
მიდტიულანდი (დანია) 1:1 გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია)
1:0 პიმპონგი (15), 1:1 გლენდინინგი (84)
ვიკინგი (ნორვეგია) 1:0 ბროტნიო (ბოსნია)
1:0 ფუგლესტადი (82)
ოლიმპიაკოსი (კვიპროსი) 2:2 დუნაფერი (უნგრეთი)
0:1 სივონი (16), 1:1 ტემიცოკლეუსი (48), 1:2 ტოკოლი (50), 2:2 კოვლაი (75)
მიუპა (ფინეთი) 1:3 ჰელსინგბორგი (შვედეთი)
0:1 ეკლუნდი (25), 0:2 პრისა (47), 1:2 ლინდბერგი (50), 1:3 ლინდსტრონი (83)
მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 6:0 ჟალგირისი (ლიტვა)
ეტელბრიუკი (ლუქსემბურგი) 0:4 ლეგია (პოლონეთი)
0:1 მაგიერა (10), 0:2 პიკარსკი (14), 0:3 ვრობლევსკი (27), 0:4 მირზეჯევსკი (75)
ვადუცი (ლიხტენშტაინი) 3:3 ვარტექსი (ხორვატია)
1:0 ნიდერმაუზერი (43), 1:1 ბელანოვიჩი (49), 2:1 მერენდა (56), 3:1 ვალონი (76), 3:2, 3:3 ბელანოვიჩი (85,88)
ტორსჰავენი (ფარერები) 2:2 გრაცერი (ავსტრია)
1:0, 2:0 მორტენსონი (47, 54), 2:1, 2:2 აკვაეგვუ (57, 89)
ზიმბრუ (მოლდოვა) 0:0 გაზიანთეფი (თურქეთი)
ბრიუგე (ბელგია) 4:0 აკრანესი (ისლანდია)
1:0 ლანგე (60), 2:0 ლეენბი (76), 3:0 ლანგე (83), 4:0 მენდოსა (87)
ვარდარი (მაკედონია) 0:3 სტანდარდი (ბელგია)
0:1 მეისენი (30), 0:2 ბლეი (50), 0:3 ვალენი (68)
ოლიმპია (სლოვენია) 4:0 შაფა (აზერბაიჯანი)
1:0 კომაჩი (28), 2:0, 3:0 ტიგანჯი (57, 59), 4:0 კალეფა (75)
დინამო (ზაგრები, ხორვატია) 1:0 ფლორა (ესტონეთი)
1:0 გონჯიჩი (55)
დებრეცენი (უნგრეთი) 3:0 ნისტრუ (მოლდოვა)
1:0 ბაიზატი (26), 2:0 ულვეცკი (35), 3:0 ტიბერი (83)
აეკ (საბერძნეთი) 6:0 გრევენმახერი (ლუქსემბურგი)
1:0 ცარტასი (36), 2:0, 3:0 ზაგორაკისი (37, 56), 4:0 ნიკოლაიდისი (65), 5:0 კონსტანტიდისი (68), 6:0 ნიკოლაიდისი (88)
ბრიონდბიუ (დანია) 2:0 შელბურნი (ირლანდია)
1:0 იონსონი (14), 2:0 ბაგერი (80)
კოსმოსი (სან მარინო) 0:1 რაპიდი (ვენა, ავსტრია)
0:1 ვალნერი (10)
ლონგფორდი (ირლანდია) 1:1 ლიტექსი (ბულგარეთი)
1:0 ოკონორი (19), 1:1 იურუკოვი (84)
სტ. კოლომა (ანდორა) 0:1 პარტიზანი (იუგოსლავია)
0:1 ჩაკარი (69)
გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) 0:1 კილმარნოკი (შოტლანდია)
0:1 კრის ინსი (88)
ფილკირი (ისლანდია) 2:1 პოგონი (პოლონეთი)
1:0 ედისონი (6), 2:0 სტიქსონი (41), 2:1 დოვიგალი (71პ)
ქუიმბრანი (უელსი) 0:4 სლოვანი (სლოვაკეთი)
0:1 მოციჩი (39), 0:2 ობზერა (43), 0:3 ვიტეკი (81), 0:4 სობანა (86)
მარიტიმუ (პორტუგალია) 1:0 სარაევო (ბოსნია)
1:0 დინდა (23)

ფირმების რეგისტრაცია
ოფშორული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიმზე" მეორე სართული
ტელეფონი: 93-52-34, 877 42-20-59

## ჩვენ ვეძებთ ევროპას


REUTERS სკოპიედან

ვარდარი — სტანდარდი. მასპინძელი გოზევ გლატკო და მეისენ ჰაროლდი

ინგლისური, ესპანური თუ იტალიური გაზეთები უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებს თავიანთ გვერდებზე დიდ ადგილს არ უთმობენ. თუ ეს გაზეთები სპორტული არაა, ანგარიშების დაბეჭდვითაც არ იწუხებენ თავს. არც გაემტყუნებათ, რადგან „ლივერპულის", „ბარსელონასა" თუ „იუვენტუსის" ქომაგ მკითხველს სულაც არ აინტერესებს „ლანსანტფრეიდის", „რუზომბეროკის", „აშტარაკის", „ბროტნიოს", „ეტელბრიუკის", „ტორსჰაგენის", „შადას", „გრევენმახერისა" და მისთანების ჩატარებული მატჩები. ისინი არც ქართული გუნდების თამაშების აღწერით იწუხებენ თავს, რაკი ნებისმიერ ქართულ გუნდსა და „ლანსანტფრეიდს" შორის განსხვავებას ვერ პოულობენ. უფრო ზუსტად კი, არც ეძებენ.

შევნიშნოთ, რომ თავში ნახსენებ ბობოლა საფეხბურთო ქვეყნებში მხოლოდ „ლივერპულის", „ბარსელონასა" და „იუვენტუსის" ქომაგები არ ცხოვრობენ, მაგრამ არც „სარაგოსას", „ფიორენტინას" და „ლიდსის" ქომაგებს აინტერესებთ დიდად საკვალიფიკაციო ეტაპის შედეგები. მერე რა, რომ, ვთქვათ, „სარაგოსა" უეფას თასის მომდევნო ეტაპზე კვალიფიკაციაგავლილ ორმოცდაერთ გუნდთაგან ერთ-ერთს შეხვდება — ამათგან მისი ტოლი ზაგრების „დინამო" და ბელგრადის „პარტიზანი" თუ იქნება.

უკვე ორი აბზაცი დავწერეთ და უშუალოდ ხუთშაბათის მატჩებზე არაფერი გვითქვამს, არადა, ამ სტატიას უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩების მიმოხილვა ჰქვია. ცხადია, შეგვიძლია აღვწეროთ, „პუხოვი" — „სლიმას" მატჩის მეათე წუთზე როგორ გაიტანა მავანმა ბრეშკამ, მაგრამ ვფიქრობთ, მკითხველისთვის ეს საინტერესო არ უნდა იყოს, ისევე როგორც ინგლისელი და იტალიელი მკითხველისთვის. მაგრამ უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე წერა მაინც გვიხდება, რადგან ამ ეტაპზე ქართული გუნდებიც თამაშობენ — ეს ქართული კლუბების დონეა. და სწორედ ამით განსხვავდება ქართული და ინგლისურ — ესპანურ — იტალიური საფეხბურთო თემატიკა.

შენიშნავდით, რომ უინტერესობაზე ლაპარაკისას უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე მივუთითებთ და არა ზოგადად ტურნირზე, რომელსაც უეფას თასის გათამაშება ჰქვია.

ცხადია, ჩემპიონთა ლიგამ ეს ტურნირი დაჩრდილა, რადგან სახელოვან კლუბთა სრული უმრავლესობა ლიგაშია. მაგრამ გასული სეზონის უეფაც გავიხსენოთ. „რომა" — „ლივერპული", „ალავესი" — „ინტერი", „ლივერპული" — „ბარსელონა", „ალავესი" — „კაიზერსლაუტერნი" და ცხადია, დაუვიწყარი „ლივერპული" — „ალავესი", რომლის მსგავსი თამაშიც ლიგაში არ ყოფილა.

თუმცა დასახელებული მატჩები გაზაფხულზე გაიმართა, როცა გათამაშება უკვე გაცხრილული იყო „დებრეცენის" და მისნაირი გუნდებისგან. ახლა კი ზაფხულია, როცა სწორედ „დებრეცენისა" და მისთანების დროა.

ამავე დროს, ზაფხული კარგი დროც არის, რადგან ამ პატარა გუნდებს მხოლოდ ზაფხულში აქვთ ევროტურნირებზე თამაშის საშუალება. კარგია იმიტომაც, რომ ზაფხულგავლილმა ერთი-ორმა გუნდმა შესაძლოა ზამთრამდეც და სასწაული თუ მოხდა, გაზაფხულამდეც გააღწიოს. შარშან ლიგაში ითამაშეს „ჰელსინგბორგმა" და „ჰერენვენმა", „ალავესზე" სიტყვის გაგრძელება კი არც ღირს. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ „ალავესის" დონის ერთი-ორი გუნდი საკვალიფიკაციო ეტაპის ორმოცდაერთ წყვილს შორისაც არის. და თუ ასეთი სასწაული მოხდა, ეგებ შარშანდელი ფინალის მსგავსი კიდევ ერთი ფინალიც ვნახოთ.

ბოლოს კი აი, რა ვთქვათ. საკვალიფიკაციო ეტაპის ზოგიერთი მატჩის მეგოლეების ვინაობა უეფას ოფიციალურ ოქმში შეტანილი არ არის. იქ წერია, მოგვიანებით შევიტყობთო. არადა, როცა ეს წერილი იწერება, პარასკევი საღამოა, თამაშები კი ხუთშაბათს იყო. ესეც კვალიფიკაცია.

**გიორგი დარჯანია**


REUTERS ბუქარესტიდან

დინამო (ბუქარესტი) — დინამო (ტირანა). ალბანელმა რედი ჯუპამ (მარჯვნივ) რუმინელ იულიან ტამეს ბურთი ფეხიდან ააცალა

# ამხანაგური მატჩი



REUTERS კურიერიდან

ბრაზილიელმა ალესანდრომ და პანამელმა კორეამ ბურთი გაიცილეს

# გაიძვერა

## სკოლარიმ ბარსელონას სკამი ახეხინა

**ბრაზილია 5:0 პანამა**

1:0 ედილსონი (61პენ), 2:0 ალექსი (62), 3:0 ჟილერი (80), 4:0 პაულისტა (87პენ), 5:0 რობერტო კარლოსი (90)

ბრაზილია: მარკოსი (დიდა 69), ხუანი, ჟუნიორი, ლუსიო, ალესანდრო (ვამპეტა 46), ედუარდო კოშტა, რობერტო კარლოსი, ლეონარდო (ალექსი 58), ტინგა (პაულისტა 69), მარსელინიო პარაიბა (ჟილერი 62), ედილსონი (დენილსონი 62)

**ლუიშ ფელიპე სკოლარიმ**

პირველი შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა. რივალდოს, ელბერისა და ლუსიოს გარეშე დარჩენილმა ბრაზილიელებმა პანამელებთან ამხანაგური შეხვედრა არაამხანაგური შედეგით დაასრულეს. ტეტრაკამპეონებმა პატარა კარიბიელებს ხუთი უპასუხო ბურთი გაუტანეს, მაგრამ ქალაქ კურიტიბაში სტადიონზე მისულმა ტორსიდამ სასურველი სანახაობა ამჯერადაც ვერ იხილა.

არ ვიცით, დამცრობილ ბრაზილიელებთან პირველ ნახევარში გოლის არგაშვება პანამელებს დამსახურებად ჩაეთვალოთ თუ არა. გუნდები შესვენებაზე ფრით გაიყარნენ. მეორე ნახევარი ბრაზილიელთათვის აწ უკვე ჩვეული ზანტი, გაუაზრებელი ფეხბურთით დაიწყო და ასევე გაგრძელდა. მატჩის მსვლელობა პანამელთა განადგურებას არაფრით მოასწავებდა. ლუის ფელიპე სკოლარიმ და მისმა პანამელმა კოლეგამ ექვს-ექვსი შეცვლა გააკეთეს. „დედ ფელს“ უფრო გაუმართლა. სკოლარის ახალწვეულმა ტინგამ ივარგა და ანგარიშიც მისი მოხდენილი ვარდნის შედეგად გაიხსნა. ახალბედას ყველაფერი ძალიან ოსტატურად გამოუვიდა. საჯარიმოში შესული მეტოქე მცველთა დაუხმარებლად, ისე მოხერხებულად დაეცა, რომ ბრაზილიელმა არბიტრმა უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი. აი, სწორედ ამას ჰქვია მწვრთნელის თვალი და მიგნება, ლუის ფელიპე სკოლარისთვის ამგვარი სიმულაციები, არასაფეხბურთო ხერხები, უხეშობაც კი ერთგვარი ტაქტიკური მონახაზია. ჰოდა, ტინგაც ალმოაჩინა. „დედ ფილს“ მისი დარი ფეხბურთელები სჭირდება და ღმერთმა მშვიდობაშიც მოახმაროს. მოედანზე სკოლარის შეგირდების უგერგილო გარჯის შემყურე ევროპულ გუნდებს, რომლებიც ნაკრებში ბრაზილიელთა გაშვებას უარობენ, ვერც გაამტყუნებ. რივალდოს და ელბერს სკოლარის გუნდში არაფერი ესაქმებათ. ბარსელონელი აკი ჩავიდა კიდეც სამშობლოში ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ, მწვრთნელმა კი მას გარჯა და თორმეტსაათიანი ფრენა წყალში ჩაუყარა და სათადარიგოთა სკამზე აყურყუტა. გერმანული „ბილდი“ მეტსაც ამბობს. გაზეთი ლევერკუზენის „ბაიერის“ ფეხბურთელის, ლუსიოსა და „დედი ფილის“ ურთიერთობაზე რამდენიმე ცნობას გვაწვდის და მწვრთნელს ერთობ სამარცხვინო საქციელსაც ამხელს. ლუის ფელიპე ყველა სხვა სიკეთესთან ერთად გაიძვერაც ყოფილა. ლუსიოს პანამელებთან თამაშისთვის იგი თურმე ნაკრების კაპიტნობას სთავაზობდა, ხოლო ნაკრებში გამოუცხადებლობის შემთხვევაში ფეხბურთელს ნაკრებიდან სამუდამო მოკვეთით ემუქრებოდა. ამის შემტყობი „ბაიერის“ პრეზიდენტი რაინერ კალმუნდი აღშფოთებულა და უნატრია, ნეტავ, ეგ სკოლარი გერმანიაში „მოღვაწეობდეს“, ამგვარი საქციელისთვის, ფეხბურთელის შანტაჟისთვის გისოსებს მიღმა აღმოჩნდებოდაო.

ეს გერმანიაში, სკოლარი კი ბრაზილიაშია და, ალბათ, მისი მუშაობის სტილი იქაურთათვის მისაღებია. განა ვერ ხედავთ, რა დღეში ჩააგდო „დედი ფილის“ გუნდმა პანამის ნაკრები? ისე, შეგახსენებთ, რომ პანამელები წლევანდელ სეზონში სხვებმაც გვარიანად გადათელეს. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში სრუტის პირას მცხოვრებნი მექსიკელებმა 1:7 დაამარცხეს, ხოლო ტრინიდადელებმა ექვსი უპასუხო გოლით შეარცხვინეს.

ჰოდა, რაღა სალაპარაკოა, რომ სკოლარის ეს გამარჯვება არ ეთვლება. უფრო ზუსტად, პანამელთა დიდი ანგარიშით ძლევა არაფერზე არ მეტყველებს. ბრაზილიელთა თამაში კვლავ დაუწყობელი და ქაოსური იყო. ანგარიში მაშინ გაიხსნა, როდესაც შესვლები გაკეთებული იყო და მეტოქე გუნდებიც უკვე არეულ ფეხბურთს თამაშობდნენ. ამით ისარგებლეს ქუჩის ფეხბურთში დახელოვნებულმა ბრაზილიელებმა, ინდივიდუალური ოსტატობით იძალეს და ოდნავ მაღალი ტექნიკის წყალობით სკოლარის პირველი (იქნებ მავანს ენამ წინ გაუსწროს და თქვას, პირველი და უკანასკნელიო) დიდი ანგარიში აჩუქეს.

სკოლარისა და პანამასთან ამხანაგურად გაჯიბრებული დახვეწილ-შეწყობილი მისი შეგირდების მომავალს მნიშვნელოვანწილად მოჰფენს ნათელს თხუთმეტი აგვისტო. ამ დღეს პორტო ალეგრიში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები შესარჩევი ჯგუფის მეორეადგილოსან პარაგვაელებს დაუხვდებიან. ბრაზილიელებს მხოლოდ მოგება აძლევთ ხელს, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატში სამხრეთ ამერიკიდან ოთხი საუკეთესო ხვდება. მეხუთეს კორეა-იაპონიის საგზურისთვის ოკიანეთის გამარჯვებულ ავსტრალიელებთან მოუწევს ბრძოლა. ბრაზილიელები ამჟამად მეოთხენი არიან და უახლოეს მდევარს ურუგვაელებს მხოლოდ გატანილ-მიღებული ბურთების სხვაობით სჯობიან. ურუგვაელები თოთხმეტში ვენესუელის ნაკრების ძლევას შეეცდებიან. მწვრთნელმა ვიქტორ პუამ უკვე დაასახელა იმ ოცდასამი კაცის ვინაობა, რომლებიც მარაკაიბოში ვენესუელელებს დაუპირისპირდებიან.

*მეკარეები: ფაბიან კარინი („იუვენტუსი“ იტალია), გუსტავო მუნუა („ნაციონალი“)*

*მცველები: ჯო ბიზერა („პერიაროლი“), ალეხანდრო ლემბო („ნასიონალი“), დარიო როდრიგესი („პენიაროლი“), გონსალო სორონდო („დეფენსორ სპორტინგი“), გუსტავო მენდესი („ტორინო“ იტალია), ასულო მონტერო („იუვენტუსი“ იტალია)*

*ნახევარმცველები: როდრიგო ლემოსი („ბელა ვისტა“), რუბენ ოლივიერა („დანუბიო“), დიეგო პერესი („დეფენსორ სპორტინგი“), მარსელ რომერო („მალაგა“ ესპანეთი), გუსტავო ვარელა („ნასიონალი“), გონსალო დე ლოს სანტოსი („ვალენსია“ ესპანეთი), გილერმო გიაგომესი („ლეჩე“ იტალია), გუიდო („რომა“ იტალია), ნიკოლას ოლივიერა („სევილია“ ესპანეთი)*

*თავდამსხმელები: რიხარდ მორალესი („ნაციონალი“), კარლოს მორალესი („ტულუკა“ მექსიკა), მარიო როხეირო („რასინგი“ ესპანეთი), დარიო სილვა („მალაგა“ ესპანეთი), მარსელო ზალაიეტა („იუვენტუსი“ იტალია), ალვარო რეკობა („ინტერი“ იტალია).*

**გიორგი გამარდაშვილი**

**ფეხბურთის რუკასთან**



**არგენტინელი** ნახევარმცველი დანიელ გასტონ მონტენევერო „ოსასუნამ“ მარსელის „ოლიმპიკიდან“ ერთწლიანი იჯარით გადაიბირა, ხოლო შემდეგ მასთან შესაძლოა კონტრაქტიც გააფორმოს. აღსანიშნავია, რომ სამხრეთამერიკელი მეექვსე ახალწვეული „ოსასუნაში“, გუნდში კიდევ სამი მისი თანამემამულე ირიცხება. 22 წლის ნახევარმცველი შარშან ასევე განათხოვრებით თამაშობდა „სარაგოსაში“, მერე კვლავ „მარსელში“ დაბრუნდა. თუმცა წლეულს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის მცირედი შანსი ჰქონდა და ამიტომ „ოსასუნაში“ გადასვლა ამჯობინა.

**იტალიურმა „უდინეზემ“ თავდამსხმელი მაურო ესპოზიტო 1 მილიონ გირვანქად სერია B-ს კლუბ „სალერნიტანაში“ გაყიდა. ახალ გუნდში იგი დავიდ დი მიკელეს შეცვლის, რომელიც ცოტა ხნის წინ საპირისპირო მიმართულებით გადაბარგდა უდინეში. „უდინეზეს“ კი მალე, ალბათ, რობერტო მუტიც დატოვებს. მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა თავდამსხმელს ახალი კლუბის ძებნა ურჩია. ფეხბურთელის აგენტის განცხადებით, მსურველი გუნდები მრავლად არიან, ძირითადად იტალიიდან.**

**ესპანური** „დეპორტივოს“ პრეზიდენტმა აუტუსტო რესარმა დაადასტურა, რომ საბოლოოდ მიაღწია შეთანხმებას „ესპანილელის“ ხელმძღვანელობასთან და ნახევარმცველი სერხიო გონსალესი კატალონიიდან გალისიაში გადაიყვანა. 24 წლის ფეხბურთელმა რვაწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ტრანსფერი კი 10 მილიონი დოლარი დაჯდა. ამიერიდან თუ რომელიმე კლუბი სერხიოს გადაბირებას მოისურვებს, „დეპორტივოს“ სანაცვლოდ 55 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს.

**იტალიის ჩემპიონი „რომა“ თანახმაა, არგენტინულ „ბოკა ხუნიორსს“ 7 მილიონი გირვანქა გადაუხადოს, ხოლო სანაცვლოდ რომში მცველი როლანდო სკიავი წაიყვანოს. აღსანიშნავია, რომ ეს ფეხბურთელი ბუენოსაირესულ კლუბში შარშან ჩაირიცხა და არაერთი ევროპული გრანდის ყურადღება მიიპყრო. „რომას“ ცოტა ხნის წინ მცველი სალიუ ლასისი დაემტვრა და მწვრთნელი ფაბიო კაპელო შემცვლელის ძიებაშია.**

**ინგლისური** „ჩელსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა კოლინ ჰათჩისონმა დაადასტურა, რომ ჰოლანდიელი მცველის, უინსტონ ბოგარდის შეძენას ორი კლუბი — მადრიდის „ატლეტიკო“ და გლაზგოს“ სელტიკი“ ცდილობს და ლონდონელებთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. შეგახსენებთ, რომ 30 წლის ფეხბურთელი „ჩელსიში“ „ბარსელონადან“ მივიდა. ლონდონელთა მენეჯერმა განაცხადა, რომ ბოგარდის გუნდიდან გაშვებას არ აპირებს.

**თურქული სააგენტოების ცნობით, ამერიკელი მეკარე კეისი კელერი საბოლოოდ დათანხმდა „ბეშიქთაშში“ გადასვლაზე. იმასაც იტყობინებიან, რომ ფეხბურთელს კლუბის დატოვება თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუძლია და უახლოეს დღეებში სტამბოლში ჩავა, სადაც შესაძლოა კრისტოფ დაუმის გუნდთან კონტრაქტსაც მოაწეროს ხელი. შეგახსენებთ, რომ შარშანდელი სეზონი კელერმა „რიო ვალეკანოში“ ჩაატარა, თუმცა ამ კლუბთან შეთანხმების ვადა ცოტა ხნის წინ ამოეწურა.**

**ნიგერიელი** თავდამსხმელი ვიქტორ იკპება, რომელიც დორტმუნდის „ბორუსიას“ ძირითად შემადგენლობაში ბოლო ხანს თითქმის ვეღარ ხვდებოდა, მომავალ სეზონს „ბეტისში“ გაატარებს. ბუნდესლიგურმა კლუბმა 28 წლის ფეხბურთელი იჯარით გაუშვა ესპანეთში. იკპება „ბორუსიაში“ ორი სეზონის წინ „მონაკოდან“ 4,8 მილიონ დოლარად ჩაირიცხა. გერმანულ კლუბში მან სულ 30 შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ სამჯერ შესძლო გოლის გატანა.

**ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველმა ალექს დე სოუზამ „კრუზეიროსთან“ გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი. 24 წლის ფეხბურთელმა კარიერა „კურიტიბაში“ დაიწყო. ცოტა ხანში იგი „პალმეირასში“ მოხვდა და სახელი იქ თამაშით გაითქვა, სან პაულუს კლუბთან ერთად ალექსი ბრაზილიის თასის, ასევე მერკოსურისა და ლიბერტადორესის თასების მფლობელი გახდა. შემდეგ იგი „პარმამ“ შეიძინა, თუმცა იჯარით მალევე დაუბრუნა „პალმეირასს“. ახლა კი „კრუზეიროში“ გადასვლის ნება დართო. ცნობისთვის, ამ კლუბს ცოტა ხნის წინ მწვრთნელად ივო უორტმანი დაუნიშნეს.**

**ინგლისური** სააგენტოები იუწყებიან, რომ „ასტონ ვილამ“ შეთანხმებას მიაღწია ზაგრების „დინამოსთან“ და 22 წლის თავდამსხმელ ბოშკო ბალაბანს მალე ალბათ ინგლისში გადაიბირებს. ახლა მხოლოდ ფეხბურთელთან პირობები დარჩა შესათანხმებელი. ხორვატი ასევე ინგლისის სამუშაო ვიზის მიღებას დაელოდება და თუ ყველაფერი მოესწრო პრემიერლიგის პირველ ტურში შესაძლოა „ასტონ ვილას“ შემადგენლობაშიც გამოჩნდეს.

**ბრაზილიის 20 წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი ადრინო მილანში ჩავიდა, რათა „ინტერთან“ გააფორმოს კონტრაქტი. ცოტა ხნის წინ იტალიელებმა „ფლამენგოში“ კიდევ ერთი ბრაზილიელი ვამპეტა გაუშვეს. სანაცვლოდ კი ამ კლუბიდან ადრინო გადაიბირეს. ბრაზილიელს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მალე იგი ალბათ ბრაზილიის ძირითად ნაკრებშიც მიიღებს მიწვევას ხოლო „ინტერში“ რონალდოს სრულ გამოჯანმრთელებამდე შესაძლოა სასტარტოშიც გამოჩნდეს.**

# პსჟ — გზა ხსნილია

**უეფას წესების** მიხედვით, ევროტურნირებზე მონაწილე ორ სხვადასხვა კლუბს არ შეიძლება ერთი მფლობელი ჰყავდეს. ადრეც ვწერდით, რომ, ფრანგული ტელეკომპანია „კანალ +“ პსჟ-ისა და შვეიცარიული „სერვეტის“ აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი აღმოჩნდა. ეს ორი გუნდი კი უეფას თასზე ასპარეზობს. უფრო სწორად, „სერვეტი“ პირდაპირაა დაშვებული გათამაშებაში, პარიზულ კლუბს კი იქ მოსახვედრად ინტერტოტოს ფინალში „ბრეშას“ წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს. „კანალ +“ არჩევანის წინაშე დადგა და გადაწყვეტილების მისაღებად დიდხანს არ უფიქრია, „სერვეტის“ აქციათა 51 პროცენტი ორ შვეიცარიულ ფირმას მიჰყიდა და პსჟ-ს გზა გაუხსნა. ასე რომ, პარიზელებს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეუძლიათ უეფას თასზე თამაში. შეძლებენ თუ არა ფრანგები რობერტო ბაჯოს „ბრეშას“ გადაბიჯებას, საკითხავი ესლაა.


იყიდება

ვიოლინო, ზომა 3/4.

ტელ: 33-27-36

# რეჰაგელი 63 წლისა დაინიშნა



ოტო რეჰაგელი

**ორი თვის** წინ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი გაათავისუფლა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ბერძნებმა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი ფაქტობრივად დაკარგეს. ბევრი ეძებეს თუ ცოტა, ბერძნული ფეხბურთის მამებმა ქვეყნის პირველ გუნდს პატრონი გამოუნახეს. ამიერიდან მომდევნო ორი წლის განმავლობაში საბერძნეთის ნაკრებს გერმანელი ოტო რეჰაგელი უთავკაცებს. მკითხველს, ვფიქრობ, კარგად მოეხსენება, თუ ვინ არის და რას წარმოადგენს იგი. რეჰაგელმა მეორე ბუნდესლიგიდან „კაიზერსლაუტერნი" პირველში გადააბრძანა და პირველივე სეზონში, 1997-98 წლებში, გერმანიის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციაში ნაკრების მწვრთნელის გამოსავლენად ერთგვარი არჩევნები ჩატარდა. ამ არჩევნებში დაუსწრებლად მონაწილეობდნენ ისეთი ავტორიტეტული პიროვნებები, როგორებიც არიან ხავიერ კლემენტე, ტერი ვენეიბლზი, ნევიო სკალა და მარკო ტარდელი. ოტო რეჰაგელს ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი და ორი წლის განმავლობაში იგი თავისი შრომის საფასურად 720 ათას დოლარს მიითვლის.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გახსოვდეს სიკვდილი! სოლის სული სურთ

**„არსენალისა"** და „ტოტენჰემის" გულშემატკივართა „თბილი" ურთიერთობები საყოველთაოდ ცნობილია. ამ გუნდების შეხვედრები ომს უფრო ჰგავს, ვიდრე ფეხბურთის თამაშს. ალბათ, ამიტომაცაა, რომ „სპურზის" ფანებისთვის სოლ კემპბელის „ტოტენჰემიდან" „არსენალში" გადასვლა ერთი ჩვეულებრივი ტრანსფერი კი არა, ღალატის ტოლფასია. მოღალატეებს კი რა? — სიკვდილი? დიახ, სწორედაც რომ ასეთი განცხადებები გაჩნდა ამ ბოლო დროს ლონდონის საფეხბურთო კლუბ „ტოტენჰემ ჰოტსპურზის" ოფიციალურ საინტერნეტო გვერდზე. იმ ადგილას, სადაც ქომაგთა წერილები იბეჭდება. საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო და ამ ამბავში, რაღა თქმა უნდა, პოლიციაც ჩაერია. კლუბის პრესმდივანმა განაცხადა, რომ ყველანაირად დაეხმარება წესრიგის მცველებს მუქარით სავსე გზავნილების ავტორთა გამოსავლენად, თუმცა კი ხელჩასაჭიდი ჯერჯერობით არაფერია.

„არსენალში" გადასვლის დღიდან „ტოტენჰემის" გულშემატკივრებმა კემპბელის საწინააღმდეგო გამოსვლები მოაწყვეს. ჯერ მისი გვარით დამშვენებულ მაისურებს წვავდნენ, შემდეგ შეურაცხმყოფელი წარწერებით აჭრელებული პლაკატებიც გამოფინეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ყველაზე აგრესიულად განწყობილნი „არსენალის" ამხანაგურ თამაშებზე მიდიოდნენ, რათა ლანძღვა-გინებით გული მოეფხანათ. ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ფეხბურთელს სიკვდილით დაემუქრნენ. თავად სოლი კი ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებს: „ტოტენჰემს" ოთხი წელი ალალად ვემსახურე, როცა ვიგრძენი, რომ სხვა გუნდში უნდა გადავსულიყავი, „არსენალი" ვარჩიე, დარწმუნებული ვარ, სწორედ მოვიქეცი და ვფიქრობ, გულშემატკივრებმა ჩემს გადაწყვეტილებას პატივი უნდა სცენ" — ეს კი ფიქრობს ასე, მაგრამ ისინი?

**ვაჟა ხუციშვილი**



სოლ კემპბელს (მარჯვნივ) მეთოფეობა ძვირად უჯდება

# მივიდა სიტყვა, დახვდა ქვა
## ბერნარ ტაპი ფინანსურმა დირექტორმა პირღია დატოვა



ბერნარ ტაპი

**ედმონ დანტესივით** დაბრუნებულმა ბერნარ ტაპიმ მარსელში ოლიმპიური სიმშვიდე დაარღვია. სავსებით გასაგებია მისი სურვილი — კვლავ აალორძინოს „ოლიმპიკი", მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოსდის. წინა ტურში, „ბორდოსთან" მატჩის წინ, იმის გამო, რომ განაცხადში დროზე არ შეიყვანეს, ვერ ითამაშა „ოლიმპიკის" ახალმა ფეხბურთელმა ჯოზეფ იობომ. ამ ფაქტის გამო კლუბის ფინანსურმა დირექტორმა პიერ დიუბიტონმა ტაპის მისამართით წყრომა გამოხატა. ეს რომ ბერნარმა გაიგო, პასუხად დირექტორის საქმიანი ქაღალდების შემოწმება გადაწყვიტა. აქ კი ერთი ამბავი ატყდა. როგორც გაირკვა, რამდენიმე დღით ადრე, „ოლიმპიკის" ერთ-ერთი მეკარის აგენტი თავისი კლიენტის კონტრაქტის პირობების გასარკვევად მიერ დიუბიტონს სწვევია. მოლაპარაკებები ჩიხში შესულა და განრისხებულ აგენტს ფინანსური დირექტორისთვის განავალი უწოდებია. დიუბიტონმა, თურმე არც აცია, არც აცხელა და შეურაცხმყოფელს თავური დაჰკრა. თურმე ტაპის ესეც სცოდნია და ზემოხსენებული მიზეზები სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ფინანსურ დირექტორთან ვიზიტისათვის. აი, რას ამბობს პიერ დიუბიტონი: „ჩვენ ფეხბურთელების გაყიდვიდან 17,5 მილიონი დოლარი მივიღეთ და არა 80 მილიონი, როგორც ბერნარ ტაპი გვპირდებოდა. ამიტომ ვურჩევ, ჩემს საქმეში ცხვირს ნუ ჩაყოფს. მე არ ვარ მოწინააღმდეგე გუნდების მოსყიდვის და ფეხბურთელების დოპინგით მომარაგების მომხრე, როგორც ამას ტაპი აკეთებდა. მან უბრალოდ არ იცის, რა უნდა. მისი ნება რომ იყოს, დღეს გუნდში 60 ფეხბურთელი გვეყოლებოდა. მართალია, იგი საფეხბურთო სამყაროში მეტად გავლენიანი პაიროვნებაა, მაგრამ ჯობს, თავის საქმეებს მიხედოს, მე კი, როგორმე ჩემსას მოვუვლი." „ოლიმპიკის" პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პიერ დიუბიტონი ერთადერთი ვაკაცია კლუბში, ვისაც ტაპისთან შეპასუხება შეუძლია. თავად ბერნარ ტაპიმ კი ამ ამბებს ასეთი კომენტარი გაუკეთა: „ვფიქრობ, საფრანგეთის მოსახლეობას სულაც არ აღელვებს, თუ რას ფიქრობს დიუბიტინი. მე მითხრეს, რომ მან ჩვენი მეკარის აგენტს თავი დაარტყა და ამის გამო მის წინააღმდეგ სასამართლოში საქმე აღიძრა. ეს კი კლუბის ღირსებას ლახავს." ესეც რომ ღირსებაზე ილაპარაკებს...

**ვაჟა ხუციშვილი**

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

ქართველი კაცობრიობის საყურადღებოდ: „სარბიელის" კოსმოპოლიტურმა ბიურომ გახსნა სპორტული ტელეარხი „მეჟდუნოგ +", რომელიც, ამიერიდან, გააშუქებს ყველაფერს (ფირებს, ტყე-პარკებს, სადარბაზოებს) და შემოგთავაზებთ ყველაზე საინტერესო მოვლენების პირდაპირ, ხოლო ყველაზე უინტერესოს ირიბ რეპორტაჟებს. არხს ექნება მოძრავი სტრიქონიც, სადაც თქვენ შეგეძლებათ განათავსოთ განცხადებები. მაგ:

„ჟანა, მიყვარხარ, მიშა" ან „ლუიზა ბიცოლას ვულოცავთ ჯიმშერი ბიძიასთვის დალევის აკრძალვის 2 წლისთავს".

ბუნებრივია, „მეჟდუნოგ +" დიდ ყურადღებას დაუთმობს ეროვნულ ფეხბურთს, სახელდობრ, ყოველ სამშაბათს თქვენ ნახავთ ტოკ-შოუს „ჩვენ და ისინი" ანუ სჭირდება თუ არა საქართველოს ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი. მოგეხსენებათ, ჩვენ ნაკრებს საზღვარგარეთ ფართო არჩევანი აქვს. მის სათავეში უახლოეს მომავალში შეიძლება ვიხილოთ შემდეგი უცხოელები: ოლეგ რომანცევი, იური გავრილოვი, გენადი კაზაჩონოკი, ნიკიტა მიხალკოვი (მახვილით ა-ზე), სერგეი შავლო და ბევრი, ბევრი სხვა. თითოეულ კანდიდატს საფუძვლიანად განიხილავს ექსპერტი ენგელბერტ პონტელავა, რომელიც გადაცემის მსვლელობისას კაიფში არ იქნება. მის გარდა კომენტარს ვთხოვთ ენგელბერტ პონტელავასა და ენგელბერტ პონტელავას. საიდუმლოდ გაგიმხელთ, რომ გადაცემაში გვსურს მოვიწვიოთ რომელიმე პარლამენტარი კაიფშიც. საგანგებოდ ვამზადებთ ციკლს „მოდი, ბრატ გავმაზოთ". მისი წამყვანი გიკუშა იქსდვაძე მოსახლეობის დიდ ნაწილს განუმარტავს, როგორ უნდა იშოვოს დიდი ფული კორპუსებს შორის ეზოში ლუდის სმის შეუწყვეტავად. ამისათვის საჭიროა, რომელიმე დაუზარელ, ახალგაზრდა მეზობელს სთხოვოთ ჩავიდეს (ან ავიდეს) უახლოეს ტოტალიზატორში (ქალაქის ნებისმიერი საცხოვრებელი სახლიდან მაქსიმუმ 20-30 მეტრში) და შეგივსოთ ქვითარი. გაატანთ ლარიანს — მიიღებთ ცხრაასს. თუ პირველ ჯერზე არ გამოვა, გული არ გაიხეტოთ.

აქვს თუ არა ტელეკომპანია „მეჟდუნოგ +"-ს რაიმე პრობლემა? — იკითხავს ადამიანი.

ცხადია აქვს — ვპასუხობთ ჩვენ.

კერძოდ: ტელეკომპანია „მეჟდუნოგ +"-ს სასწრაფოდ ესაჭიროება ქრთამის მიმცემი. იმ შემთხვევაში თუ ტელეკომპანიას თავს დაადგება რომელიმე, ჩვენს სახელმწიფოში არსებული 4768 263 მაკონტროლებელი ორგანოდან, ქრთამის მიმცემი ვალდებული იქნება შტატით განსაზღვრულ უშუალო მოვალეობას შეუდგეს. სხვა დღეებში მას შეეძლება უსაქმოდ ანუ კმაყოფილი იჯდეს და იწუწუნოს, რომ ცუდი ცხოვრება გვაქვს.

განსაკუთრებით გვსურს, რომ ხაზი გავუსვათ (ქვემოდან) იმას, რომ ტელეკომპანია „მეჟდუნოგ +"-ს აუცილებლად ეყოლება რამდენიმე მოკლეკაბიანი, ზამთრობით შავკოლგოტკიანი წამყვანი (სინამდვილეში ქერას თმა შავად ექნება შეღებილი, სინამდვილეში შავთმიანს — ქერად), რომლის ფუნქციაც მართალია ზუსტად არ იქნება ცნობილი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს.

ბუნებრივია, ტელეკომპანია „მეჟდუნოგ +" შემოგთავაზებთ მრავალრიცხოვან რეკლამებს. ჩვეულებრივ დღეებში სარეკლამო ბლოკის ხანგრძლივობა იქნება 17 წუთი, ჩემპიონთა ლიგის მატჩების მსვლელობისას 43 წუთი, ხოლო ამ შეჯიბრების ფინალსა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე 89 წუთი. საკუთრივ რეკლამათა არსი კი სრულიად სტანდარტული და ხალხისგან უკვე მოწონებული გვექნება. მაგ: შიშველი ქალი ვნებიანად კვნესის, ხელში ფერადი ბალონი უჭირავს, ხოლო ეკრანზე იწერება: „მატადორ" — არცერთი ტარაკანა ჩვენს გვერდით!

უცქირეთ მხოლოდ „მეჟდუნოგ +"-ს!

**ბაჩუნა ძიდია**

ავტორს არ უნახავს „შინდლერის სია".
ვისაც უნახავს, ვთხოვთ, ამოიკითხოს მისამართი:
*ENGOTENGO@HOTMAIL.COM*



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

სოლომონ გულისაშვილი

# შოლს ეფენბერგობა დააბრალეს



მეჰმეთ შოლი

| მესამე ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლევერკუზენი | - | ბაიერნი |
| ლაუტერნი | - | კიოლნი |
| მიუნხენი | - | ჰამბურგი |
| შტუტგარტ | - | ვერდერი |
| კოტბუს | - | ნიურნბერგი |
| ფრაიბურგი | - | ჰერტა |
| დორტმუნდი | - | ვოლფსბურგი |
| **ხვალ** | | |
| გლადბახი | - | შალკე |
| ზანქტ პაული | - | ჰანზა |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაუტერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| ლევერკუზენი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| დორტმუნდი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| კიოლნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ბაიერნი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 4 |
| ფრაიბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ჰამბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| გლადბახი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| კოტბუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ნიურნბერგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ვერდერი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| ზანქტ პაული | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ვოლფსბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| შტუტგარტი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ჰერტა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| შალკე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ჰანზა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| მიუნხენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

**დღევანდელი** საღამოს მთავარი ამბავი „ბაიარენაზე" მოხდება. ბოლო წლების მარტვილი და ამჟამინდელი ლიდერი „ლევერკუზენი" მიუნხენის „ბაიერნს" უმასპინძლებს.

ახალგახსნილ ბუნდესლიგაში „ლევერკუზენმა" ორი თამაშიდან ორივე მოიგო და „კაიზერსლაუტერნსა" და „დორტმუნდთან" ერთად ჯერაც ქულადაუკარგავთა სამეულშია.

„ბაიერნი" — გერმანიისა და ევროპის საკლუბო ჩემპიონი — ერთი მოგებითა და ამდენივე წაგებით მეხუთე საფეხურზე დგას. თუმცა, ორი ტურის მერე ადგილების გაყოფაზე სერიოზულად ლაპარაკი, აბა, როგორ იქნება.

ბოლო წლებში „ლევერკუზენი" გაზულუქებული „ბაიერნის" მთავარი მეტოქე იყო და ამბიცია არც წლეულს დაეწუნება. „ბაიერნი" კი, „ბაიერნი" თავისი გზით მიდის. მათი ბრაზილიელი შემტევი, ჯოვანი ელბერი ამბობს: „ლევერკუზენთან" შესახვედრად მთელი კვირა ვემზადებოდით. ჩვენ ერთი წავაგეთ და მეორე მოვიგეთ, „ლევერკუზენმა" კი ორივე საწყის მატჩში გაიმარჯვა. მიუხედავად ამისა, მცირე უპირატესობა მაინც ჩვენია, რადგან მოსამზადებლად მეტი დრო გვქონდა. შუა კვირაში „ლევერკუზენმა" ჩემპიონთა ლიგის რთული საკვალიფიკაციო მატჩი ითამაშა იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდასთან", იმ შეხვედრაში საკმაო ენერგია დახარჯა და მგონია, რომ შაბათს, გამარჯვების მეტი შანსი ჩვენ გვაქვს. ვფიქრობ, „ბაიარენაზე" „ბაიერნი" იმ ფეხბურთს აჩვენებს, რომელიც ხელეწიფება".

„ბაიერნს" პრობლემებიც აქვს. ვერ ითამაშებენ დაშავებული შტეფან ეფენბერგი, იენს იერემისი და მიხაელ ტარნატი. ეგებ, ტრავმირებულებზე არც არაფერი გვეთქვა, მაგრამ ეფენბერგის ამბავი მართლაც გამორჩეულია. „ეფემ" წინა ტურში „შალკესთან" ვერ ითამაშა, მის არყოფნაში კი მეჰმეთ შოლმა ეფენბერგობაც გასწია და შოლობაც — უჩვეულო ადგილზე, ცენტრში ითამაშა და ჩინებულადაც გამოუვიდა. ამისდაკვალად, გერმანულ პრესაში პოლემიკა გაიმართა, რამდენად ღირებულია „ბაიერნისთვის" თავკერძა ეფენბერგი, კაცი, რომელსაც პარტნიორებისა და მით უმეტეს, მოწინააღმდეგეების მიმართ თავაზიანს ვერ დავარქმევთ. ისიც გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ „გლადბახის" ვარსკვლავი „ეფე", 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა, ბერტი ფოგთსმა მაყურებლებისთვის ნაჩვენები უხამსი ჟესტისთვის ეროვნული გუნდიდან მოკვეთა.

მოკლედ, ეფენბერგი ჭირვეული, მაგრამ საჭირო კაცია. ამის დასტურია ფრანც ბეკენბაუერის გუშინდელი სიტყვებიც, რომელიც მან „ბლიკპუნქტ სპორტს" და ბავარიის ტელევიზიას უთხრა: „დასანანია, რომ ეფენბერგი ვერ გვეხმარება. ჩვენ ის ძალიან გვჭირდება".

მართლაც, 33 წლის პლეიმეიკერი დღევანდელ გერმანულ ფეხბურთში მთავარი კაცია. ბეკენბაუერმა კი ისიც თქვა, წლეულს ჩვენთან ერთად ჩემპიონობის კანდიდატი „დორტმუნდის" ჩინებული გუნდიაო.

ასეა, მათიას ზამერმა, ჩანს, ბოლო წლებში ჩავარდნილი „ბორუსია" აალორძინა. წინა სამშაბათს მას თავისი ოსტატობა საფუძვლიანად დაამტკიცა. ეგებ, გაგვიკვირდეს კიდეც, „შახტარი" რომელი სასინჯი ქვააო, მაგრამ ათლეტურ და ძალისმიერ დონეცკელებს დორტმუნდელებმა ისეთი ამბავი დამართეს, მხოლოდ უმაღლესი კლასის გუნდს რომ შეუძლია — რასაც და როგორც უნდოდათ, ისე აკეთებდნენ.

„დორტმუნდს" წლევანდელი ბუნდესლიგის ორივე მატჩი მოგებული აქვს და დღეს ჯერაც გამარჯვებაუნახავ „ვოლფსბურგს" დაუხვდება. „კიკერის" მონაცემებით, მასპინძლებს ყველა ჯანზე ჰყავთ და წესით, ზედიზედ მესამე გამარჯვებაც არ უნდა გაუჭირდეთ.

ჩვენებურთა „ფრაიბურგი" ბერლინის „ჰერტას" უმასპინძლებს. ფრაიბურგელებს ორი ტურის მერე 50 პროცენტიანი შედეგი აქვთ — შინ 3:0 „ვერდერთან" და სტუმრად 0:2 „ნიურნბერგთან". „ჰერტა" კი ერთი კინკილა ქულით ბოლოებს შორისაა. თუმცა ბერლინელები „დრაიზამშტადიონს" ძალიან დიდი გულით ჩავიდნენ და ახალ სეზონში პირველ მოგებას გეგმავენ. ამასვე ამბობს ბერლინელთა და გერმანელთა ახალგაზრდა ვარსკვლავი სებასტიან დაისლერი, რომელიც ფრაიბურგთან ახლოს, შვეიცარიის მოსაზღვრე ლიორახში დაბადებულა, მაგრამ ფრაიბურგში ნორმალური ბავშვთა სკოლა არ ყოფილა და ვარჯიში მიონხენგლადბახში დაუწყია.

„თითქოს შინ ვბრუნდებიო და ამიტომ ვეცდები, განსაკუთრებულად გამოვიჩინო თავი" — ამბობს დაისლერი.

„კიკერის" ვერსიით კი მასპინძელთა ძირითადში ქართველთაგან ისევ მხოლოდ ლევან კობიაშვილი ითამაშებს.

**სოლომონ გულისაშვილი**

## Tim–ის ტურნირი



იუვენტუსი — მილანი. მილანელი ფილიპო ინძაგი (მარცხნივ) ძველ თანაგუნდელ ჯანლუკა პესოტოს გაურბის

# ბუფონის აღებული კოშტას ჩაეთვალა

**მილანი 0:0 (5:3პენ) ინტერი**

**პენალტები:** 1:0 შევჩენკო, 1:1 ვიერი, 2:1 რუი კოშტა, 2:2 ზეედორფი, 3:2 სერჟინიო, 3:3 კალონი, 4:3 კონტრა, 4:3 მატერაცი (ააცილა), 5:3 ინძაგი

**მილანი:** აბიატი, კონტრა, ლაურსენი, მალდინი, სერჟინიო, გატუზო, კალაძე, დონატი (კოკო 30), რუი კოშტა, ინძაგი, შევჩენკო,

მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი

**ინტერი:** ტოლდო, სიმიჩი, ბლანი, მატერაცი, გეორგატოსი, კოკუ, ძანეტი, ზეედორფი, გული, ვიერი, კალონი

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

მსაჯი: დი მანტოვა

**იუვენტუსი 0:1 მილანი**

0:1 კალაძე (29)

**იუვენტუსი:** ბუფონი, ტუდორი (ძენონი 23), ტურამი, იულიანო (ფერარა 19), პესოტო (ბარამბა 34), ძამბროტა, ტაკინარდი, ნედვედი (დავიდსი 14), დელ პიერო (ამოროზო 34), ტრეზეგე, კოვაჩევიჩი

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

**მილანი:** აბიატი, ჰელვეგი, ლაურსენი, მალდინი, კოკო, ბროკი, კალაძე, სერჟინიო, რუი კოშტა, ხავი მორენო, ინძაგი (შევჩენკო 23)

მსაჯი: დი არეცო

**იუვენტუსი 0:0 (3:2პენ) ინტერი**

**იუვენტუსი:** ბუფონი, ტუდორი, ტურამი, იულიანო, პესოტო, ძენონი (მარესკა 29), ძამბროტა, ნედვედი, ტაკინარდი, ტრეზეგე, დელ პიერო

**ინტერი:** ტოლდო, სიმიჩი, ბლანი, მატერაცი, გრეშკო, კოკუ, კ ძანეტი, ზეედორფი (დალმა 14), გული (ემრე 14), ვიერი, კალონი (ვენტოლა, 14)

მსაჯი: კასტელანი

**სერია A-ს** მთავარმა სპონსორმა, იტალიის სატელეფონო კომპანია „TIM"-მა ხუთშაბათს ტრიესტეში, „ნერო როკოს" სტადიონზე სამთა ტურნირი მოაწყო, რომელში სათამაშოდაც „მილანს", „იუვენტუსსა" და „ინტერს" უხმო. შეჯიბრმა დიდი ინტერესი გამოიწვია, 25-ათასიანი არენა მთლიანად გაივსო.

სამი მატჩის ძირითად დროში ერთადერთი გოლი გავიდა და ქართველ ქომაგთა სასიხარულოდ, ეს ბურთი კახა კალაძეს ეკუთვნის. მან „იუვენტუსის" წინააღმდეგ შეხვედრაში 29-ე წუთზე გამოიჩინა თავი. გოლი კი ასე გავიდა: ხავი მორენომ ზუსტი პასით ანდრეი შევჩენკო დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა. უკრაინელს ტურინელთა მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა ბურთი კი აუღო, მაგრამ გაუვარდა და კართან ახლოს მდგომმა კალაძემ დაამატა.

საერთოდ, როგორც აღნიშნავენ, ფატიჰ თერიმის გუნდი ტურნირზე ყველაზე ძლიერი ჩანდა და გამარჯვებაც დაიმსახურა. მილანელებს „იუვენტუსის" კარში კიდევ შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ ბუფონი სასწაულებს სჩადიოდა. განსაკუთრებით ფილიპო ინძაგი ცდილობდა, თავი გამოეჩინა, მაგრამ ვერ მოახერხა. საამისოდ კი ორი დამატებითი მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, ცოტა ხნის წინ დატოვებული გუნდის კარს დალაშქრავდა და მეორეც, იმ დღეს დაბადების 28-ე წლისთავს აღნიშნავდა და გოლით თავის საკუთარ საჩუქარს გაუკეთებდა. ინძაგიზე ისიც უნდა ითქვას, რომ მას ტურინული კლუბის ფანებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს და რამდენჯერმე ტაშიც დაუკრეს. პირველად „მილანი" — „იუვენტუსის" შეხვედრაზე რომ გიამბეთ, ამას თავისი მიზეზი აქვს. იქ ერთადერთი გოლის ავტორი ქართველი იყო. თორემ პირველი მატჩი „მილანმა" და „ინტერმა" ჩაატარეს. აქ რუი კოშტას კარგ თამაშს გამოარჩევენ, რომელიც ცდილობდა, შევჩენკოსთვის პასები არ მოეკლო, მაგრამ უკრაინელმა გოლად ვერც ერთი აქცია. ვერც მეორე გუნდის ფორვარდებმა გამოიჩინეს თავი, თამაში ფრედ დასრულდა და მეტოქეებმა პენალტები დაარტყეს. თერიმის გუნდმა 5:3 მოიგო.

არც „ინტერს" და „იუვენტუსს" გაუტანიათ ერთმანეთისთვის გოლები და იმაში, რომ ტურინელთა კარი მშრალად დარჩა, ისევ და ისევ ბუფონს მიუძღვის დიდი წვლილი. „იუვეს" მცველები ვენტოლას და ვიერის რომ ვერ აჩერებდნენ, მშველელად მეკარე გამოვიდოდა ხოლმე. გამარჯვება კი პენალტების სერიით „ბებერ ქალბატონს" დარჩა — 3:2.

ტურნირის გამარჯვებული გუნდის, „მილანის" კაპიტანმა პაოლო მალდინიმ თასი ჩაიბარა, ხოლო შეჯიბრის საუკეთესო მოთამაშედ რუი კოშტა დაასახელეს.

**ნიკა ზუგლაძე**



„მილანის" კაპიტანმა პაოლო მალდინიმ ეს თასიც ჩაიბარა

**იყიდება**

ქუთაისში

☎ (231) 7 17 58

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "სულიკოსთან"

**ექიმი კარდიოლოგი**
**გია მაზავრაშვილი**

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თსსუ ცენტრალური კლინიკა (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო).
I სართული ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109

**იყიდება**

ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ.მ. მიშენებით, დიღმის მასივში, მე-4-ე კვარტალი, მე-19-ე კორპუსი, პირველი სართული.
ფასი შეთანხმებით
ტელ:. 95-90-32, 39-71-98, 877 42-82-83

# ევროპული ტრანსფერები

## ინგლისი

**არსენალი:** ნელსონ ვივასი (ინტერი, იტალია), შტეფან მალცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დევიდ ნობლი (უოტფორდი), ალექს მანინგერი (ფიორენტინა, იტალია); **ფრენსის ჯეფერსი (ევერტონი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი), იუნიჩი ინამოტო (გამბა ოსაკა, იაპონია).**

**ასტონ ვილა:** ჯულიან ჯოუჩიმი (ქოვენთრი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო), დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი); **ჰასან კაჩლული (საუთჰემპტონი), მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი), ოლოფ მელბერგი (რასინგი, ესპანეთი), პიტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია), დანი გარსია (ბარსელონა, ესპანეთი), ბოშკო ბალაბანი (დინამო (ზაგრები), ხორვატია)**

**ბლექბერნი:** ლი ჰარდი (ოლდემი), მაიკლ ბინგემი (მენსფილდი); **გორდონ გრეერი (კლაიდბანკი, შოტლანდია), კორადო გრაბი (ტერნანა, იტალია), თუგაი ქერიმოღლუ (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალან მაჰონი (სპორტინგი, პორტუგალია), ნათან ბლეიქი (ქოვენთრი), ჯიმი ტრაორე (ლივერპული).**

**ბოლტონი:** მეთიუ გლენონი (ჰალი), ჯონ ოკენი (ბლექპული), რობი ელიოტი (ნიუკასლი), მეტ კლარკი (ფულემი); **ნიკი საუთჰოლი (ჯილინგემი), ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ჰენრიკ პედერსენი (სილკებორგი, დანია), მეტ კლარკი (ბრედფორდი), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია).**

**ჩარლტონი:** ენდი ჰანტი (თამაში მიატოვა); **შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ჯეისონ იუელი (უიმბლდონი), ლუკ იუნგი (ტოტენჰემი), გევინ პიკოკი (ქუინზ პარკ რეინჯერსი).**

**ჩელსი:** გუსტავო პოიეტი (ტოტენჰემი), დენის უაიზი (ლესტერი), ბერნარ ლამბური (ბასტია, საფრანგეთი), ნილ ბარეტი (პორტსმუთი), კორტნი პიტი (პორტსმუთი), სტივენ ბროდი (საუთენდი), ჯეი რიჩარდსონი (ექსეტერი), სემ პარკინი (ნორთჰემპტონი), რობერტ უოლესტონი (ნორთჰემპტონი), სტიუარტ რედინგტონი (მენსფილდი), ფრანკ ლებეფი (მარსელი, საფრანგეთი), ჯონ ჰარლი (ფულემი); **უილიამ გალასი (მარსელი, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ვესტ ჰემი), ემანუელ პეტი (ბარსელონა, ესპანეთი), ლეონ ნაითი (ქუინზ პარკი), ბუდევინ ზენდენი (ბარსელონა, ესპანეთი).**

**ევერტონი:** ფრენსის ჯეფერსი (არსენალი), შონ დოჰერტი (ფულემი), მაიკლ ბოლი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია); **ტომაშ რაძინსკი (ანდერლეხტი, ბელგია), ალან სტაბსი (სელტიკი, შოტლანდია), ფილიპ ჯევონსი (გრიმსბი), სტივენ ჰიუზი (უოტფორდი).**

**დერბი ქაუნთი:** რორი დელაპი (საუთჰემპტონი); **რიკარდო მასპერო (ტორინო, იტალია), დანიელე დაინო (მილანი, იტალია), ფაბრიციო რავანელი (ლაციო, იტალია).**

**ფულემი:** საიმონ მორგანი (ბრაიტონი), პოლ პეშისოლიდო (შეფილდ იუნაიტედი); **ლუიშ ბოა მორტე (საუთჰემპტონი), აბდელსალიმ უადუ (ნანსი, საფრანგეთი), მეტ კლარკი (ბოლტონი), შონ დოჰერტი (ევერტონი), ედვინ ვან დერ სარი (იუვენტუსი, იტალია), ჯონ ჰარლი (ჩელსი).**

**იფსვიჩი:** რიჩარდ რაიტი (არსენალი); **პაბლო გონსალეს კუნაგო (სელტა, ესპანეთი), კრის ჰოგი (იორკი), ენდი მარშალი (ნორვიჩი), ტომი მილერი (ჰარტლპული).**

**ლიდსი:** უორენ ფინი (ბორნმუთი), კევინ დიქსონი (ბარნსლი); **რობი კინი (ინტერი, იტალია).**

**ლესტერი:** სტიუარტ კემპბელი (გრიმსბი), ლოური დადფილდი (ჰალი); **დენის უაიზი (ჩელსი), იან უოქერი (ტოტენჰემი).**

**ლივერპული:** იან არმსტრონგი (პორტვეილი), ჯიმი ტრაორე (ბლექბერნი), კრისტიან ციგე (ტოტენჰემი); **იონ არნე რიისე (მონაკო, საფრანგეთი), მილან ბაროში (ბანიკ ოსტრავა, ჩეხეთი).**

**მიდლსბრო:** ნაილ მედისონი (დარლინგტონი), კრისტიან კარამბუ (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); **[illegible] ნემეტი (ინტერი, სლოვაკეთი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), ფრანსუა გრენე (ბორდო, საფრანგეთი), ჯონათან გრინინგი (მანჩესტერ იუნაიტედი), მარკ უილსონი (მანჩესტერ იუნაიტედი).**

**მანჩესტერ იუნაიტედი:** როდრი ჯოუნსი (როტერჰემი), ეშლი დოდი (პორტვეილი), ჯოშ უოქერი (შრიუსბერი), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი), მარკ უაიტმენი (ბარი), ჯონათან გრინინგი (მიდლსბრო), მარკ უილსონი (მიდლსბრო); **რუუდ ვან ნისტელროოი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო, იტალია), როი კეროლი (უიგანი).**

**ნიუკასლი:** დეს ჰამილტონი (კარდიფ სიტი, უელსი), სტივენ გლასი (უოტფორდი); **რობი ელიოტი (ბოლტონი), კრეიგ ბელამი (ქოვენთრი), ლორან რობერი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი).**

**საუთჰემპტონი:** ფილ უორნერი (კემბრიჯი), ლუიშ ბოა მორტე (ფულემი), ჰასან კაჩლული (ასტონ ვილა); **რორი დელაპი (დერბი ქაუნთი), ანდრეს სვენსონი (ელფსბორგი, შვედეთი), ჯაჩინტო ელა იენი (ესპანიოლი, ესპანეთი).**

**სანდერლენდი:** კარსტენ ფრედგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), მილტონ ნუნიეში (ნასიონალი, ურუგვაი); **ნიკოლას მედინა (არგენტინოს ხუნიორსი, არგენტინა), ბაკი მერჩიმეკი (ჰაარლემი, ჰოლანდია), ლილიან ლასლანდი (ბორდო, საფრანგეთი), დავიდ ბელონი (კანი, საფრანგეთი).**

**ტოტენჰემი:** ნაილ ფინი (პიტერბრო), რამონ ვეგა (სელტიკი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (არსენალი), ლუკ იუნგი (ჩარლტონი); **ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), გუსტავო პოიეტი (ჩელსი), შონ ჯალალი (ჰასტინგსი), გორან ბუნიევჩევიჩი (ცრვენა ზ[illegible]და, იუგოსლავია), კრისტიან ციგე (ლივერპული).**

**ვესტ ჰემი:** მარკ კელერი (სტრასბური, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), სტიუარტ პირსი (მანჩესტერ სიტი), ტომი უილიამსი (პიტერბრო), სტივ ანგესი (კემბრიჯი), ამოს ფოიევა (ბორნმუთი); **სებასტიან შემელი (მეცი, საფრანგეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ანდრეს დალესანდრო (სან ლორენსო, არგენტინა).**

## ესპანეთი

**ალავესი:** ხავი მორენო (მილანი, იტალია), კოზმინ კონტრა (მილანი, იტალია), ივან ტომიჩი (რომა, იტალია), ივან ასკოიტია (რაიო ვალეკანო), დიაგო განანი (სალამანკა); **ბოგდან მარა (დინამო, რუმინეთი), ალესანდრო (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), ხოსე ემილიო ამავისკა (რასინგი), ჩომინ ნაგორე (ნუმანსია), ალბერტო სერანო (ესპანიოლი), კარლოს ლორენსი (ატლეტიკო), რუბენ ნავარო (ნუმანსია).**

**ბეტისი:** **მინხო (რაიო ვალეკანო), ვაშინგტონ ტაისი (რასინგი), ვიქტორ იკპება (დორტმუნდი, გერმანია).**

**ბილბაო:** იმანოლ ეჩებერია (რაიო ვალეკანო); **აიტორ ოკიო (ოსასუნა), ხუან კარლოს სივორი (კორდობა), სესარი (სევილია), ლუის პრიეტო (ეიბარი), ურაკა (ესტრემადურა), დიეგო კარანკა (ესტრემადურა), ხორხე პერესი (ესტრემადურა).**

**ბარსელონა:** ივან დე ლა პენია (ლაციო, იტალია), ემანუელ პეტი (ჩელსი, ინგლისი), სიმაო საბროსა (ბენფიკა, პორტუგალია), დანი გარსია (ასტონ ვილა, ინგლისი), ბუდევინ ზენდენი (ჩელსი, ინგლისი);; **ჯოვანი (კრუზეირო, ბრაზილია), ფაბიო როჩემბაკი (პორტუ ალეგრი, ბრაზილია), ფილიპ კრისტენვალი (მონაკო, საფრანგეთი), პატრიკ ანდერსონი (ბაიერნი, გერმანია), რობერტო ბონანო (რივერ პლეიტი, არგენტინა), ხავიერ სავიოლა (რივერ პლეიტი, არგენტინა).**

**სელტა:** პაბლო კუნაგო (იფსვიჩი, ინგლისი), ხუან ხაიო (უნიონ სანტა ფე, არგენტინა), გორან ჯოროვიჩი (დეპორტივო); **ოლაისი (პონტევედრა, ბრაზილია), ივან კავიედესი (ვალიადოლიდი), ჯაკობო კამპოსი (კომპოსტელა), ხუან მენა (ხერესი), პაბლო კონტრერასი (რასინგი), ფლორიან მორისი (მარსელი, საფრანგეთი), იერეი ორტეგა (ლას პალმასი), ზვონიმირ ბობანი (მილანი, იტალია)**

**დეპორტივო:** ჟაკ სონგო (მეცი, საფრანგეთი), ტურუ ფლორესი (სპორტინგი, პორტუგალია), სალაჰედინ ბასირი (ლილი საფრანგეთი), პეტერ კოუბა (იაბლონეცი, ჩეხეთი), სებასტიან აბრეუ (ნასიონალი, ურუგვაი); **ექტორ ბერენგელი (სევილია), ხაიმე (რასინგი), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ოსასუნა), ჩანგუი (ელჩე), გაბრიელ შურერი (ლას პალმასი), აბრეუ (სან ლორენსო, არგენტინა), დავიდ პირი (ნუმანსია), მანელი (ნუმანსია), ივან პერესი (ნუმანსია), ენრიკე (ფეროლი), აირა (ფეროლი), გორან ჯოროვიჩი (სელტა), სერხიო გონსალესი (ესპანიოლი).**

**ესპანიოლი:** კრისტობალი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), დიეგო დე ლუკასი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), ალბერტო სერანო (ალავესი), კოსტელ გალკა (ვილიარეალი), ხორდი ლარდინი (ატლეტიკო), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია), ჯაჩინტო ელა იენი (საუთჰემპტონი, ინგლისი), სერხიო გონსალესი (დეპორტივო); **ალექს ფერნანდესი (ოსასუნა), დავიდ აგანსო (რეალი), ფრანი (ლეიდა), მანელი (სპორტინგი), ხუან ფრანსისკო პალენსია (კრუს ასული, მექსიკა), კატალინ მუნტიანუ (ატლეტიკო).**

**ლას პალმასი:** ამაორი (ერკულესი), გაბრიელ შურერი (დეპორტივო), მარიო ტურდო (რენი, საფრანგეთი), ანტონიო გიარე (ვილიარეალი), იერეი ორტეგა (სელტა); **ფაბიან ტევენე (სევილია), ნეირა (უნიონ ესპანიოლა, ჩილე), სოკორო (ელჩე), კუესადა (უელვა), ვიქტორი (უნივერსიდადი), ალბერტო (უნივერსიდადი), ვეგა (გრანადა), ალექსი (ტენერიფე).**

**მალაგა:** მარტინ რივასი (ინტერი, იტალია), ფრანსისკო რუფეტე (ვალენსია), გონსალო დე ლოს სანტოსი (ვალენსია); **ბოშკო ლეკო (ჰაიდუკი, ხორვატია), დუდა (კადისი), ავულე კუაე არიკი (ორივე ჰართს ოფ ოკი, განა), გარსია ხერარდო (ვალენსია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), კარლუშ ლიტუში (ბოავიშტა, პორტუგალია), მარსელო რომერო (ენეაროლი, ურუგვაი).**

**მალიორკა:** ხოსე კარერასი (ატლეტიკო), არმანდო ალავესი (ატლეტიკო), იოვან სტანკოვიჩი (ატლეტიკო), ხერმან ბურგოსი (ატლეტიკო); **ფათიჰ აკიელი (გალათასარაი, თურქეთი), სამუელ ეტოო (რეალი), ხოსემი, ჯოკაი (ორივე ლეიდა), ვისენტე (სპორტინგი).**

**ოსასუნა:** კუკო სიგანდა (თამაში მიატოვა), ალექს ფერნანდესი (ესპანიოლი), ალფონსო ვერა (სევილია), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ყველა დეპორტივო), ანხელი (სევილია), აიტორ ოკიო (ბილბაო), ლორენსი (ატლეტიკო), გარსია ხერარდო (ვალენსია); **ჯონ ალოიზი (ქოვენთრი, ინგლისი), პუნიალი, მორალესი (ორივე ლევანტე), ვილია (ფეროლი), მოა (ლევანტე), ალმუნია (საბადელი), ხერარდო დამიან რივერო (ალმაგრო, არგენტინა), რაფაელ ოლარა (უნივერსიდადი, ჩილე), დანიელ გასტონ მონტენეგრო (მარსელი, საფრანგეთი).**

**რაიო ვალეკანო:** გუსტავო ბარტელტი (რომა), სერხიო მარტინეს ბალესტეროსი (ვილიარეალი), მინხო (ბეტისი), კეისი კელერი (ბეშიქთაში, თურქეთი); **ივან ასკოიტია (ალავესი), იმანოლ ეჩებერია (ბილბაო), ზოლტან გრანოვი (უიპეშტი, უნგრეთი), მიჩელ II (სევილია), რივერა (ფეროლი), ჩიჩი პერაგონი (ლევანტე), ერიკ რუა (ტრუა, საფრანგეთი).**

**რეალი:** მანუელ სანჩისი (თამაში მიატოვა), დავიდ აგანსო (ესპანიოლი), სამუელ ეტოო (მალიორკა), ესტებან კამბიასო (რივერ პლეიტი, არგენტინა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (ბენფიკა, პორტუგალია), ტოტე (ვალიადოლიდი); **როდრიგო ფაბრი (სპორტინგი, პორტუგალია), ედვინ კონგო (ტულუზი, საფრანგეთი), ესტებან კამბიასო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (სოსიედადი), ხულიო ალვარესი (რასინგი), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი, იტალია).**

**სოსიედადი:** ესტებან ფუენტესი (თამაში მიატოვა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (რეალი); **ბიორნ ტორე კვარმე (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), ხოსე ბარკერო (ეიბარი), ალდეონდო (კორდობა), იკერ ალვარესი (ბეასანი), იგორ ცვიტანოვიჩი (დინამო, ხორვატია), ბიორნ ტორე კვარმე (სენტ ეტიენი, საფრანგეთი).**

**სევილია:** ექტორ ბერენგელი (დეპორტივო), ფაბიან ტევენე (ლას პალმასი), სესარი (ბილბაო); **ალფონსო ვერა (ოსასუნა), ანხელი (ოსასუნა), მარიანო რამონ ტოედტლი (სალამანკა).**

**ტენერიფე:** მისტა, კურო ტორესი (ორივე ვალენსია), ლუის გარსია (ვალიადოლიდი), ალექსი (ლას პალმასი); **ხუან ესნაიდერი (იუვენტუსი, იტალია).**

**ვალენსია:** ზლატკო ზაჰოვიჩი (ბენფიკა, პორტუგალია), დიდიე დეშამპი (მონაკო, საფრანგეთი, მწვრთნელი), გარსია ხერარდო (მალაგა), გაისკა მენდიეტა (ლაციო, იტალია), ჯონათან ლოპესი (ნუმანსია), იოაკიმ ბიორკლუნდი (ვენეცია, იტალია); **კარლოს მარჩენა (ბენფიკა, პორტუგალია), მისტა (ტენერიფე), კურო ტორესი (ტენერიფე), ხერარდო (ოსასუნა), ლივერო პარი, დენის სერბანი, ხავი ნავარო (ყველა ელჩე), რუბენ ნავარო, კურო მონტოია (ორივე ნუმანსია), ხისკო (უელვა), ფრანსისკო რუფეტე (მალაგა), გარსია ხერარდო (ოსასუნა), გონსალო დე ლოს სანტოსი (მალაგა), სალვა ბალესტა (ატლეტიკო).**

**ვალიადოლიდი:** ალბერტო, რაული, ხოსე ანტონიო გარსია კალვო (ყველა ატლეტიკო), იან ჰაინცე (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), კვატემოკ ბლანკო (ნეკაქსა, მექსიკა); **გასპარი, მარიო (ორივე ატლეტიკო), ლუის გარსია (ტენერიფე), ტოტე (რეალი).**

**ვილიარეალი:** **ორიოლ ლოსანო (ლეიდა), კოსტელ გალკა (ესპანიოლი), კიკე მარტინი (სალამანკა), ხავი ვენტა (ფეროლი), ანტონიო გიარე (ლას პალმასი), სერხიო მარტინეს ბალესტეროსი (რაიო ვალეკანო).**

**სარაგოსა:** სერგეი გურენკო (რომა, იტალია), ხუან ესნაიდერი (იუვენტუსი, იტალია); **ესკერდინია (პორტუ, პორტუგალია), გორან დრულიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), სლობოდან კომლიენოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ლუჩანო გალეტი (ესტუდიანტესი, არგენტინა).**

**შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი, ღია შრიფტით გასხვისებულნი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატი. ედმონტონი (კანადა). 3-12 აგვისტო

# ელინმა ევროპას სპრინტი დაუბრუნა

## ოლიმპიადამ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო



REUTERS ედმონტონიდან

კოსტადინოს კენტერისმა ედმონტონში გამარჯვება ათენის ოლიმპიადის წარმოსაჩენადაც გამოიყენა

**9 აგვისტო** ედმონტონში ფინალებით ყველაზე ღარიბი იყო, მედლების მხოლოდ 4 ნაკრები გათამაშდა.

ვაჟთა 200-მა მეტრმა ადრეული ინტერესის ნახევარიც ვერ გამოიწვია, რადგან მორის გრინმა რომ ტრავმის გამო ჩემპიონატი დატოვა, ტრინიდადელმა ძმაკაცმა ატო ბოლდონმაც მას მიბაძა. ამის მიუხედავად, ფინალში ისეთი ბრძოლა იყო, დედა შვილს არ აიყვანდა. აქ პირველ ადგილს არ ვგულისხმობთ, რადგან ბერძენი კოსტადინოს კენტერისის უპირატესობამ ფინიშზე 2 მეტრი და 0,16 წამი შეადგინა, თითქმის ყველა დანარჩენი სპრინტერი კი ისე ერთიან ჯგროდ გადაგრძალდა დასკვნით ხაზზე, რომ მსაჯები ხომ საგონებელში ჩავარდნენ, არც აპარატურას დაადგა კარგი დღე. ელექტრობის ინტენსიური მუშაობა (ფოტოფინიში და მისთანები) და მსაჯთა კარგა ხნის თათბირი მოუნდა იმის დადგენას, რომ სამმა სპრინტერმა აბსოლუტურად ერთნაირი დრო, 20,20 წამი დახარჯა, მაგრამ მედალი ხომ ორიღა იყო დარჩენილი. თავიდან გული სენტ კიტელ (კარიბეთშია) კიმ კოლინზს ატკინეს, კრისტოფერ უილიამსმა და შონ კროუფორდმა სანტიმეტრებით თუ მილიმეტრებით გაგისწრესო, მაგრამ შემდეგ ვილაცა სინდისმა შეაწუხა, ვილაცამ ფოტოფინიში კიდევ ერთხელ გამოიკვლია და ბოლოს უილიამსს ვერცხლი არგუნეს, კროუფორდი და კოლინზი კი ერთად შეაყენეს პოდიუმის მესამე საფეხურზე. ამათ წამის ორი მეასედით ჩამორჩა ბრიტანელი კრისტიან მალკოლმი, სულ ოდნავ მეტით — მავრიკელი სტეფან ბუკლანდი და ამერიკელი კევინ ლიტლი. მოკლედ, საოცარი სურათი დაიხატა: მე-2 და მე-7 ადგილზე გასულები 0,05-მა (!) წამმა გაყო.

სანამ ედმონტონის თანამეგობრობის სტადიონზე ეს და სხვა ამბები მიმდინარეობდა, ქალებმა ქალაქის შემოგარენში 20 კილომეტრი სპორტულად იარეს და ისევე, როგორც ვაჟთა შემთხვევაში, აქაც რუსეთის მოქალაქემ გაიმარჯვა. ჩუვაშეთის მკვიდრმა ოლიმპიადა ივანოვამ შეტევა ადრე დაიწყო და ეულად მიგოგმანდა ფინიშის ხაზამდე, რადგან „გარბენისთვის" ზედიზედ გააგდეს მისი მთავარი კონკურენტები ჩინეთიდან და ავსტრალიიდან, სხვებმა კი ივანოვას წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

სულ მსაჯებმა ტრასიდან 14 ქალი დაითხოვეს წესების დარღვევისთვის, ხოლო ოლიმპიადა ივანოვას დოსიესთვის შემდეგს მოგახსენებთ: დაიბადა 1970 წლის 5 მაისს, სანამ 30 წელი არ შეუსრულდა, სპორტულ სიარულში ფასეული არაფერი გაუკეთებია, 2000 წელს ევროპის თასი მოიგო და წლეულსაც. სულ ეს იყო, ახლა კი ინებეთ...

ბერძენი კენტერისი, რომელმაც 200 მეტრზე ყველას გაუსწრო, სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონია და მეორე ოლიმპიური ჩემპიონი, ანიერ გარსია, 9 აგვისტოს 110 მეტრ თარჯრბენის ფინალში ილვწოდა, მაგრამ ამაოდ — ჩემპიონი ვერ გახდა. მისი მთავარი კონკურენტი ამერიკელი ალენ ჯონსონი იყო, რომელიც კუბელმა სიდნეიში სასტიკად დაჩაგრა (ჯონსონი მეოთხე ადგილზე გავიდა), თუმც წლეულს ამერიკელმა კუბელს ერთი-ორჯერ პრინციპულ შეხვედრებში გაუსწრო, ამიტომ ძნელი სათქმელია, ვინ უფრო იყო რევანშისთვის განწყობილი. ალბათ, ორივე.

პისტოლეტმა პირველად ფუჭად გაიტკაცუნა, რადგან კუბელი ერნანდესი ადრე მოსწყდა ადგილს, მეორედ კი წესი არავის დაურღვევია და ჯონსონი ყველაზე კარგად გაქანდა. პირველი თარჯი ამერიკელმა იდეალურად გადალახა, მაგრამ მერე რბენახტუნვის ჰარმონია ცოტათი დაერღვა და გარსიამ მე-7 თარჯიდან ჯონსონთან მოზრდილი გარღვევის ლიკვიდაცია იწყო, მაგრამ ბოლომდე ვერ მოახერხა, ამერიკელი 0,03 წამით ადრე იყო ფინიშთან. ჰაიტელი დადლი დორიველი მესამე გახლდათ და კუნძულოვან ქვეყანას მსოფლიოს ჩემპიონატების პირველი ოქრო მოუტანა. დორიველი ადრე ამერიკის სახელით დარბოდა და იუნიორთა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა.

ალენ ჯონსონის გამარჯვების სტატისტიკური მნიშვნელობა კი ის გახლავთ, რომ იგი სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ამგვარი შედეგი 110 მეტრზე თარჯრბენის ისტორიაში კიდევ მხოლოდ გრეგ ფოსტერმა უჩვენა 1983 87 და 91 წლებში.

დაგვრჩა ჭოკით ხტომა, რომელიც საკმაოდ მოულოდნელად ავსტრალიის მოქალაქე დმიტრი მარკოვმა მოიგო, მაგრამ ეს სენსაცია არ არის, რადგან მარკოვს აქამდეც მოუპოვებია ტიტულები. ის ბელარუსულ ვიტებსკში დაიბადა და ამ ქვეყნის სახელით მსოფლიოს იუნიორთა ვიცე-ჩემპიონი და ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონი იყო. შემდეგ ცოლის ინიციატივით ავსტრალიაში გადავიდა და ორი წლის წინ იქაური მოქალაქეობაც მიიღო. ედმონტონში მარკოვმა საკმაოდ ადვილად სძლია მრისხანე კონკურენტებს ნიკ ჰაისონგის თავკაცობით, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონია, მერე კი სულაც 6 მეტრსა და 5 სანტიმეტრზე გადახტა.

**დავით გულუა**



REUTERS ედმონტონიდან

მათ მაინც ერთ გზაზე ირბინეს: გაბრიელა საბო (წინ) და ოლგა ეგოროვა

| ვაჟები |
| --- |
| 1. დმიტრი მარკოვი (ავსტრალია) 6,05 |
| 2. ალექსანდრ ავერბახი (ისრაელი) 5,85 |
| 3. ნიკ ჰაისონგი (აშშ) 5,85 |
| 110 მ. თარჯრბენი |
| 1. ალენ ჯონსონი (აშშ) 13,04 |
| 2. ანიერ გარსია (კუბა) 13,07 |
| 3. დადლი დორიველი (ჰაიტი) 13,25 |
| 200 მ. |
| 1. კოსტადინოს კენტერისი(საბერძნეთი) 20,00 |
| 2. კრისტოფერ უილიამსი (იამაიკა) 20,26 |
| 3. კიმ კოლინზი (სენტ კიტი) 20,20 |
| შონ კროუფორდი (აშშ) 20,20 |
| ქალები |
| 20 კმ. სპორტული სიარული |
| 1. ოლიმპიადა ივანოვა (რუსეთი) 1:27.48 |
| 2. ვალენტინა ციბულსკაია (ბელარუსი) 1:28.49 |
| 3. ელიზაბეტა პერონე (იტალია) 1:28.56 |

**ქვეყანათა მონაგარი**

| | ო | ვ | ბ | სულ |
| --- | --- | --- | --- | --- |
| 1. აშშ | 4 | 3 | 4 | 11 |
| 2. რუსეთი | 3 | 7 | 4 | 14 |
| 3. ეთიოპია | 2 | 2 | 2 | 6 |
| 4. გერმანია | 2 | 2 | 1 | 5 |
| 5. კენია | 2 | 2 | 1 | 5 |



REUTERS ედმონტონიდან

ალენ ჯონსონმა ანიერ გარსიას პრინციპული დუელი მოუგო და გაიხარა

# ინგოს ბინგო

**გერმანელ** ინგო შულცს სამშობლოში ნიჭიერ და სპორტსმენად კი მიიჩნევდნენ, მაგრამ ის, რაც მან ედმონტონში შეძლო, სრულიად მოულოდნელი იყო: 400 მეტრზე რბენაში ეს არიელი არმიელი, ბუნდესვერის ოფიცერი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა. ასეთ სიურპრიზს არავინ ელოდა. ეგ კი არა, თავად შულციც ამბობდა, ნახევარფინალში გასვლაზეც ყაბულს ვარო. ახლა კი, ედმონტონური ვერცხლისთვის მას პირადი ბიუჯეტის გაზრდის საშუალებაც მიეცა, თუმცა აქ მდგომარეობა უფრო საჩოთიროა.

საქმე ისაა, რომ ინგოს ასეთი წარმატებისთვის მძლეოსნობის მმართველი ორგანოდან (იააფ) ჯილდოდ 30 ათასი დოლარი ეკუთვნის, მაგრამ ისე ჩანს, იგი ამ თანხას, ალბათ, ვერ მიიღებს, ყოველ შემთხვევაში, იააფ-ისგან. მიზეზი კი ისაა, რომ თურმე შულცს შარშან დოპინგ-კონტროლის საკმარისი რაოდენობა არ გაუვლია.

გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის კლემენ პროკოპის თქმით, შულცი ბოლო 12 თვეში საწვრთნელი პროცესისას აკრძალულ პრეპარატებზე მოულოდნელი, გაუფრთხილებელი ტესტირებით ერთადერთხელ შეუმოწმებიათ.

იააფ-ის წესების თანახმად კი, ათლეტი წელიწადში ორჯერ უნდა შემოწმდეს, რათა შემდეგ კუთვნილი თანხა მიიღოს.

„ჩვენ ცნობილ ათლეტებს წელიწადში ექვსი-შვიდჯერ ვამოწმებთ. პრობლემა კი საა, რომ შულცი გერმანიაში არასდროს ითვლებოდა ძლიერ მძლეოსნად. ჩვენ ამის თაობაზე ვესაუბრეთ იააფ-ის წარმომადგენლებს და ისინი გადაწყვეტილებას მომავალი 14 თვის განმავლობაში მიიღებენ" — თქვა პროკოპმა.

არადა, ბედის ირონიით, გერმანელები ერთ-ერთი იმ პირველთაგანი არიან, რომლებიც სეულის ოლიმპიადაზე ბენ ჯონსონის დოპინგ-სკანდალის შემდეგ დაჟინებით მოითხოვდნენ სპორტსმენთა არა მხოლოდ შეჯიბრებებისას, არამედ წვრთნის პროცესში ტესტირებას.

გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციამ, ცოტა არ იყოს, ხელები დაიბანა და განაცხადა, ეს სპორტსმენზე უშუალოდ პასუხისმგებელ პირთა შეცდომა უფროა, ვიდრე ათლეტისო.

„თუ იააფ-ი შულცს კუთვნილს არ მისცემს, მაშინ მე ჩვენს საბჭოს მივმართავ, რათა ეს თანხა გერმანიის ფედერაციამ გადაიხადოს" — განაცხადა პროკოპმა.

ასეა თუ ისე, გერმანიის მძლეოსნობის მამებს სინდისი ქენჯნით და შულცს, ალბათ, 30 ათასსაც ჩაუჩხრიალებენ.

# როდის იყო, რუსი «წადის» ძახილზე მიდიოდა

**მძლეოსანთა** მსოფლიოს ჩემპიონატი ერთი პატარა საპროტესტო აქციის მოწმეც გახდა.

რუმინელი გაბრიელა საბოს მხარდამჭერ აქციას კროსში, ბრიტანელი მსოფლიოს ჩემპიონი პაულა რედკლიფი თავკაცობდა, ის და მისი თანაგუნდელი ჰეილი ტულე სტადიონზე საპროტესტო აბრებით შეიარაღებულნი მივიდნენ და რუსი ოლგა ეგოროვას მისამართით თავიანთ უკმაყოფილებას გამოხატავდნენ. ალბიონელთა გულისწყრომა კი თურმე რუსი მორბენალის 5 ათას მეტრზე საკვალიფიკაციო გარბენში ჩართვას გამოუწვევია.

„ეპოს მომხმარებელო, დატოვე სარბენი ბილიკი" — ასეთი ლოზუნგით მიმართეს მათ საბოსთან მხარდამხარ მორბენალ ეგოროვას.

საბოსა და ეგოროვას დაპირისპირების თაობაზე არაერთხელ ვიუწყებოდით და ამ ამბის განმეორებით თავს აღარ შეგაწყენთ. მოკლედ კი ესაა: ერთი თვის წინ დოპინგზე გამოჭერილ რუს მორბენალს უამრავი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა.

„გადავწყვიტეთ, ჩემპიონატის მონაწილე გოგონების სახელით პროტესტი ჩვენ გამოგვეთქვა. ამით უკმაყოფილო რუსის ბიჭებიც კი მოგვიახლოვდნენ და გვითხრეს, რომ უსამართლოდ ვიქცეოდით. ვფიქრობ, ამით ყურადღება მივიპყარით. მერე კი წესრიგის დამცველებმა გაგვაფრთხილეს, აქცია შეწყვიტეთ, თორემ ლოზუნგს ჩამოგართმევთო" — სიტუაციაში გვარკვევს რედკლიფი.

მიუხედავად ბრიტანელთა მხარდაჭერისა, რუმინელმა საკვალიფიკაციო გარბენში მეოთხე ადგილი დაიკავა. ეგოროვას კი მეორე შედეგი აღმოაჩნდა.

„ლოზუნგს ვერ ვხედავდი, მაგრამ კარგი რამ კი გააკეთეს. აღფრთოვანებული ვარ პაულას საქციელით" — ბრიტანელს გარჯას უფასებს საბო.

მართლაც, რომ არა რედკლიფი, რუმინელი სირბილზე უარს აცხადებდა. ბრიტანელის დაჟინებულმა თხოვნამ კი საბო დაიყოლია. „მწამს, რომ ყველამ უნდა ირბინოს, მიუხედავად იმისა, რა ხდება ჩვენს ირგვლივ. გოგონებმა ყველა პრობლემა უნდა დაივიწყონ და მთელი ყურადღება სირბილზე გადაიტანონ" — დამრიგებლური ტონით აცხადებს ბრიტანელი. მთავარი პაექრობა კი დღესაა. ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს — საბო თუ ეგოროვა. თუმცა არც ისაა გამორიცხული, დღევანდელ ფინალში ჩემპიონის გვირგვინი სხვამ დაიდგას.

**გიგა გურასპაშვილი**



უილტ ჩემბერლენი

## ლოს ანჯელეს ლეიკერსი

დაარსდა 1947 წელს. ნბა-შია 1948 წლიდან
ნბა-ს ჩემპიონი: 1949, 1950, 1952, 1953, 1954, 1972, 1980, 1982, 1985, 1987, 1988, 2000, 2001
მუდმივი ნომერი: 13 (უილტ ჩემბერლენი), 22 (ელჯინ ბეილორი), 25 (გაილ გუდრიჩი), 32 (მეჯიქ ჯონსონი), 33 (ქარიმ აბდულ-ჯაბარი), 42 (ჯეიმს ვორსი), 44 ჯერი ვესტი
დარბაზი: სტეიპლზ სენთერი, ტევადობა 19282



ქარიმ აბდულ-ჯაბარი (№33)

# ჩაგრულთა ძლევამოსილება

**„ჩვენ** მხოლოდ პირველობა გვწყურია. მოგვწყინდა, მუდამ სხვას რომ ვეტოლებით და წარამარა ვისმენთ, რომ „ბოსტონის“ ჩრდილიდან ვერასდროს გამოვალთ. ჩვენ კიდევ ბევრჯერ გავხდებით ჩემპიონები და მერე „ბოსტონმა“ გვდიოს კუდში“ — წლევანდელი ფინალის შემდეგ ცხელ გულზე ნათქვამი ეს სიტყვები „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ გიგანტ ცენტრს, შაკილ ონილს ეკუთვნის. დღესდღეობით „ლეიკერსი“ უძლიერესია, ბოლო ორი წელია, პირველობას არავის უთმობს და შაკის ამბიციებიც გასაგებია. რაც შეეხება მის მიერ ნახსენებ „ბოსტონ სელტიქსს“, ეს დღესდღეობით ბევრი ვერაფერი გუნდია და „ლეიკერსი“, ისე როგორც მრავალი სხვა, ცალი ხელით უგებს. ეს ამ ბოლო ხანებში, თორემ ნბა-ს ისტორიის ფურცლები ხშირად სხვა რამეს ლაღადებს. მათ ახსოვთ ბოსტონელთაგან ლოსანჯელესელთა ჩაგვრის ამბავი. ამის გახსენება ლოსანჯელესელებს გულს ტკენს, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი სახელოვანი გამარჯვებითაც ამაყობენ. აი, მცირე სტატისტიკა: „ლეიკერსი“ (როგორც „ლოს ანჯელესი“, ისე „მინეაპოლისი“, როგორც ამ გუნდს 1960 წლამდე ერქვა) 26-ჯერ გასულა ნბა-ს ფინალში და აქედან ცამეტი მოუგია. „ბოსტონს“ მხოლოდ 19 ფინალში უთამაშია, მაგრამ გაცილებით ნაყოფიერად, ვიდრე მოქიშპეს. „კელტები“ თავს 16 გამარჯვებით იწონებენ. ესეც არაფერი, ნბა-ს ისტორიას ათი ფინალი ახსოვს „სელტიქსის“ და „ლეიკერსის“ ერთობლივი მონაწილეობით. აქედან ოდენ ორი დასრულდა ამ უკანასკნელის გამარჯვებით.

„ლეიკერსს“ თითქმის ყველა დროში ჰყავდა გიგანტები— ჯორჯ მაიკენი, უილტ ჩემბერლენი, ქარიმ აბდულ-ჯაბარი და შაკილ ონილი და არც არასოდეს გამხდარა მათ გარეშე ჩემპიონი, თუმცა ოდითგან დღემდე, როცა ამ გუნდის მაისურამორგებულ მოთამაშეთა შორის უძლიერესის დასახელებაზე მიდგება საქმე, ეს გოლიათები, როგორც წესი, მომცრო კაცს, ირვინ „მეჯიქ“ (ჯადოსნური) ჯონსონს უთმობენ პირველობას. 80-იანი წლების ბოსტონელი ლეგენდა ლარი ბერდი, რომელიც მოედანზე „მეჯიქის“ დაუძინებელი მტერი იყო, მოედანს გარეთ კი მისი უახლოესი მეგობარი (არის კიდეც), ყოველთვის თავს არიდებს პასუხს, როცა ეკითხებიან: „არის თუ არა მაიკლ ჯორდანი ყველა დროის უძლიერესი კალათბურთელი?“ „როგორ გითხრათ? მაიკლი შედის ორ უძლიერესს შორის“ — ამბობს ბერდი. თუ ვის აყენებს ჯორდანის გვერდზე ან წინ, ამ კითხვაზე ლარი დუმილს ამჯობინებს. ჩვენი თამამი ვარაუდით, ეს მეჯიქ ჯონსონი უნდა იყოს.

„არსებობს ერთადერთი კალათბურთელი, ვის გამოც მატჩზე მივდივარ. მას მეჯიქ ჯონსონი ჰქვია“ — უთქვამს ამ ოცის წლის წინ ლარი ბერდს. მაშინ ბერდის და ჯონსონის დუელი ახალდაწყებული იყო და გაგრძელდა ათეული წელი. „ბოსტონი“ და „ლეიკერსი“ ამ დროის განმავლობაში ფინალში სამჯერ შეერკინნენ ერთმანეთს. ორჯერ მეჯიქმა იმარჯვა, ერთხელ ლარიმ. ამ ორი გენიოსის დაპირისპირება ნბა-ს ისტორიის ოქროს ფურცელია.

„ლეიკერსის“ და „ბოსტონის“, დასავლეთ და აღმოსავლეთ კონფერენციების უძლიერესი გუნდების ჭიდილი შორეულ, 1959 წელს იღებს სათავეს. მაშინ ფინალში „ბოსტონმა“ 4:0 გაანადგურა მეტოქე. 60-იან წლებში „ბოსტონმა“ კიდევ ექვსჯერ გაამწარა ლოსანჯელესელები. იმხანად „ლეიკერსს“ ჰყავდა ორი ზემძლავრი მოთამაშე — ელჯინ ბეილორი და ჯერი ვესტი. მათი წყალობით გუნდი დასავლეთში, ფაქტობრივად, უძლეველი იყო, თუმც ფინალში გასულს ყოველთვის მშვიდად ელოდა „ბოსტონ სელტიქსი“ ლეგენდარულ ბილ რასელთან ერთად. იმ ეპოქის შვიდი ფინალიდან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია 1962 და 1969 წლის შერკინებები. 1962 წელს „ლეიკერსი“ ორჯერ 2:1 და 3:2 იგებდა ფინალურ სერიას. მეექვსე შეხვედრაში „ბოსტონმა“ ანგარიში გაათანაბრა და საქმე მეშვიდე მატჩამდე მივიდა. მეოთხე მეოთხედის ბოლო წამებზე 100:100-ზე ლოსანჯელესელი ფრენკ სილფის ნასროლმა ბურთმა რამდენიმე წამი იხტუნა კალათის რგოლზე, მაგრამ შიგ არ ჩაეშვა და შეხვედრა ოვერტაიმში გადავიდა. დამატებით დროში ბოსტონმა 10:7 იმარჯვა და ჩემპიონობაც მას დარჩა.

1969 წლის ფინალისთვის „ლეიკერსს“ ბოსტონელი ცენტრის წინააღმდეგ მძლავრი იარაღი ჰქონდა — „ფილადელფია სიქსერზიდან“ იმ წელს გადაეყვანა ვეება უილტ ჩემბერლენი. ამანაც ვერ უშველა, ჩემბერლენმა კვლავ დათმო დუელი რასელთან. აქაც მეშვიდე თამაშამდე მივიდა საქმე, არადა, „ლეიკერსი“ თავდაპირველად 2:0, შემდეგ კი 3:2 იგებდა სერიას. მეშვიდე შეხვედრას „ლოს ანჯელესი“ მასპინძლობდა და ბოლო მეოთხედის დასაწყისში 17 ქულას აგებდა. ჯერი ვესტმა იმდენი იბორგა, სანამ სხვაობა ორ ქულამდე არ დაიყვანა, თუმც მისმა გუნდმა ის მატჩი (106:108) და „ბოსტონთან“ მეშვიდე ფინალი დათმო. სხვათა შორის, იმ წლიდან დააწესეს ფინალის უძვირფასესი მოთამაშის წოდება. ეს ტიტული ჯერი ვესტს ხვდა წილად. ესაა ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ფინალში საუკეთესოდ წაგებული გუნდის წევრი დაასახელეს. აქვე ვთქვათ, რომ ნბა-ს ემბლემაზე სწორედ ჯერი ვესტია გამოსახული.

ამ ფინალის შემდეგ ბილ რასელი კალათბურთს გამოეთხოვა და უილტ ჩემბერლენს აღარ მიეცა ჯავრის ამოყრის საშუალება. „ლეიკერსმა“ კი მაინც წააგო 1970 წლის ფინალი, ამჯერად „ნიუ იორკთან“.

ბოლოს და ბოლოს, ლოსანჯელესელებს ერგოთ უძლიერესის სახელი. მართალია, 1971 წელს 36 წლის ასაკში პენსიაზე გავიდა ლეგენდარული ელჯინ ბეილორი, მაგრამ იმ, 1971-72 წლების სეზონში „ლეიკერსი“ შეუდარებელი იყო. გუნდმა რეგულარულ სეზონში 82-დან 69 თამაში მოიგო და ყველა დროის რეკორდი დაამყარა. ფინალში, მისდა სამწუხაროდ, „ლეიკერსმა“ „ნიუ იორკს“ მოუგო და არა „ბოსტონს“. ფინალის უძვირფასესად უილტ ჩემბერლენი აღიარეს.

1979 წლიდან ორი გიგანტი გუნდის დაპირისპირების ისტორიაში ახალი ფურცელი იწერება. „მეჯიქად“ წოდებულმა ირვინ ჯონსონმა და ლარი ბერდმა მხარდამხარ შეაბიჯეს ნბა-ში და ეს უსიცოცხლო ლიგა ერთბაშად გამოაღვიძეს.

ბერდი და ჯონსონი არ იყვნენ ერთი ამპლუის მოთამაშეები. 206-სანტიმეტრიანი ბერდი ფრთა იყო, ასევე 206-სანტიმეტრიანი ჯონსონი კი გამთამაშებელი. „მეჯიქის“ უნიკალურობაც ესაა, ასეთი სიმაღლის მიუხედავად, მის ხელში ბურთი საოცრებებს სჩადიოდა, მისი ფარული პასების ტრაექტორიის დასასრული ხომ ყველასათვის გამოუცნობი იყო. ჯონსონი, ისევე როგორც ლარი ბერდი, მეტოქეებს აიძულებდა, უკეთ ეთამაშათ, მაქსიმუმი გაეღოთ. ისინი, რასელის დროინდელი „ბოსტონისგან“ განსხვავებით, მოწინააღმდეგეს მოედანზე გასაქანს არ უსპობდნენ. ამიტომაც არ ჰგავს 80-იანი წლები 60-იანებს. ეს არ არის უბრალოდ ორი გუნდის დაპირისპირება, ეს გაცილებით მეტია.

ნბა-ში იმხანად სხვა ვარსკვლავები და ღონიერი გუნდებიც არსებობდნენ, თუნდაც 1983 წლის ჩემპიონი „ფილადელფია სიქსერზი“. სანამ ფინალში ერთმანეთს შეეჯახებოდნენ, „ლეიკერსსა“ და „ბოსტონს“ სხვებთან ბრძოლამ მოუწიათ. ლოსანჯელესელებმა 1980 და 82 წლებში ფინალში ორჯერ დასცეს „ფილადელფია“, „ბოსტონმა“ 1981 წელს „ჰიუსტონს“ აჯობა. 1984 წელს კი, როგორც იქნა, ნანატრი შეხვედრაც შედგა.

„ლეიკერსს“ პატ რაილი წვრთნიდა, ჯონსონს გვერდს უმშვენებდნენ ქარიმ აბდულ ჯაბარი და ჯეიმს ვორსი. თანაბარი ძალის გუნდი იდგა მოედნის მეორე მხარეს — ბილ ფიტჩი და მისი შეგირდები, ბერდი, რობერტ პერიში, კევინ მაკჰეილი... ბრძოლაც თანაბარი იყო და მოიგო „ბოსტონმა“ — 4:3. ლოსანჯელესელი გულშემატკივრები ლამის გაცოფდნენ, ზედიზედ მერვე მარცხი ერთსა და იმავე გუნდთან. ისინი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდნენ. „ბოსტონის“ ბატონობას მაინც მოეღო ბოლო, 1985 წლის ფინალი „ლეიკერსისა“ იყო. 1987 წელს „მეჯიქმა“ ერთხელაც აჯობა ლარის. იმ ლეიკერსის ბოლო მიღწევაა კიდევ ერთი, 1988 წლის ჩემპიონობა „დეტროიტის“ ძლევით. შემდეგ კი სხვათა ზეობის დროც დადგა.

მეჯიქ ჯონსონი 1991 წელს წავიდა კალათბურთიდან. ის სიზმარი, რომელსაც ხუთი ჩემპიონობა და უძვირფასესის სამი ტიტული ჰქვია, საშინელმა კოშმარმა შეცვალა. მეჯიქ ჯონსონს შიდსი აღმოაჩნდა. მან მაინც ითამაშა ერთი წლის შემდეგ ბარსელონას ოლიმპიადაზე და ბერდთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონც გახდა. ჯონსონმა და ლარიმ ერთად გაიხურეს კარი.

შემდეგ „მეჯიქი“ მაინც მობრუნდა 1994 წელს, როგორც მწვრთნელი, ორი წლის შემდეგ კი მოედანზეც გავიდა და სამიოდ ათეული შეხვედრა ითამაშა, შემდეგ კი მართლა წავიდა. 1996 წლიდან კი დადგა ახალი ხანა „ლეიკერსისთვის“ — გუნდში ერთად შეაბიჯეს შაკილ ონილმა და კობი ბრაიანტმა და რამდენიმე წელში სახელოვანი გუნდი კვლავ უძლეველი გახადეს.

ეს წერილი კი „ლეიკერსის“ ისტორიის უძველესი ფურცლის გამოხმაურებით დავასრულოთ. ნბა-ში 1948-49 წლებში მისულმა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ წინამორბედმა „მინეაპოლის ლეიკერსმა“ 210-სანტიმეტრიანი გიგანტის (იმ დროისთვის), ჯორჯ მაიკენის წყალობით პირველი ექვსი სეზონიდან ხუთი ჩემპიონობით დაასრულა. ეს იყო ერთადერთი ეპოქა, როდესაც „ლეიკერსი“, თუნდაც ტიტულების სიუხვით, აღემატებოდა „ბოსტონ სელტიქსს“ და ყველა დანარჩენს.

**ირაკლი ფირაშვილი**



დღენი გარდასულნი და დიადნი: იქით ლარი ბერდი, აქეთ მეჯიქ ჯონსონი



60-იანელი დოსტების ვახტანგური ნახტომი: ჯერი ვესტი (№44) და ელჯინ ბეილორი

## თავისუფალ აგენტთა ბაზარი

7-9 აგვისტო

ჩიკაგო ბულზი: აიყვანა ფორვარდი ედი რობინსონი (შარლოტიდან)
დალას მავერიქსი: შეინარჩუნა ცენტრი შონ ბრედლი, აიყვანა ცენტრი ევან ეშმეიერი (ნიუ ჯერსიდან)
ჰიუსტონ როკიტსი: შეინარჩუნა ფორვარდი მორის ტეილორი
მინესოტა ტიმბერვულვზი: შეინარჩუნა ფორვარდი სემ მიტჩელი

# ცხოვრება ეგრეა, ზოგი ასეა, ზოგი ისეა...

### ტეილორმა ფული იშოვა და ატლიკინდა, აყლაყუდა ბრედლი გაევროპელდა, ტაბაკს კი გული დაუწყვეს



აყლაყუდა შონ ბრედლიმ (მარჯვნივ) ატლანტის ოკეანეს გადმოაბიჯა

**ლამის** ქალაქის სიმბოლოდ ქცეული ბებერი ჰაკიმ ოლაჯუონის დაკარგვით დღემდე გაოგნებულ ჰიუსტონელებს შესაძლა ოდნავ გამოუკეთდეთ გუნება. „ჰიუსტონ როკიტსმა" კონტრაქტი განუახლა საკუთარ თავისუფალ აგენტს, თავდამსხმელ მორის ტეილორს. სად ოლაჯუონი და სად ტეილორიო, გაოცდება მკითხველი. ტეილორი, ცხადია, დიდ თანაგუნდელყოფილს გვერდით ვერ დაუდგება, მაგრამ იგი მაინც სერიოზული ძალაა „რაკეტებისთვის" და კალათბურთზე უგონოდ შეყვარებულ ჰიუსტონელ ქომაგებს გულს დასწყვეტდა „როკიტსის" კიდევ ერთი წამყვანი მოთამაშის დაკარგვა.

მორის ტეილორი და მისი აგენტი დევიდ ფელკი, რომელმაც მაიკლ ჯორდანის საქმეების წარმართვით გაითქვა სახელი, „ჰიუსტონის" ხელმძღვანელობას სთხოვდნენ, არ გამოემზეურებინათ კონტრაქტის პირობები და თანხმობაც მიიღეს, მაგრამ ვიღაცამ მაინც გატეხა სიტყვა. ინფორმაციამ გაჟონა და გაირკვა, რომ ტეილორმა 48-მილიონიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ამ ფულს იგი „ჰიუსტონის" მოლარისგან ექვსი წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიიღებს. წელიწადში რვა მილიონი დოლარი გვარიანი ჯამაგირია ტეილორისთანა კალათბურთელისთვის, თუმც ახლა ნბა-ში ამით ვერავის გააკვირვებ. თავის მხრივ, ტეილორი სიტყვას იძლევა, შეუძლებელს გავაკეთებ, ბოლომდე დავიხარჯები და ამ ფულს წყალში არ გადაგიყრითო. „ჰიუსტონი შესანიშნავი ქალაქია, „როკიტსი" ხომ გადასარევი გუნდია. ბავშვობიდან მინდოდა ასეთ ადგილას ცხოვრება და თამაში. შევეცდები, მაქსიმუმი გავიღო ამ გუნდისთვის" — ამბობს იგი.



ხორვატი ჟან ტაბაკი (უკან) ინდიანიდან ენით დაკოდილი წამოვიდა

„მორისი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომელიც წლიდან წლამდე უმატებს და უკეთესი მომავლის იმედს გვაძლევს" — ეს „ჰიუსტონის" ღვაწლმოსილი თავკაცის, რუდი ტომიანოვიჩის სიტყვებია.

ტეილორს ბოლო სეზონი „ჰიუსტონში" სასტარტო ხუთეულში თავდამსხმელის პოზიციაზე უთამაშია, მანამდე კი სამი წელი „ლოს ანჯელეს კლიპერსის" ლიდერი გახლდათ. ბოლო სეზონში მისი შედეგიანობა მატჩში საშუალოდ 13 ქულას შეადგენდა. ჰიუსტონელებს სჯერათ, რომ ორ-სამ წელიწადში ეს მაჩვენებელი ორ ათეულ ქულამდე გაიზრდება. ჰიუსტონელებს სხვა გეგმებიც აქვთ, თუმც ამაზე სხვა დროს ვთქვათ.

ეს დღეები არც მეორე ტეხასურმა გუნდმა, „დალას მავერიქსმა" გაატარა უქმად. დალასელები გულმოდგინედ ეძებდნენ ძირითადი ცენტრის, შონ ბრედლის ახალ სათადარიგოს „სიეტლში" გადაბარგებული კელვინ ბუთის მაგივრად. ასეთი მალე გამოჩნდა — „ნიუ ჯერსი ნეთსის" აწ უკვე ყოფილი ძირითადი ცენტრი ევან ეშმეიერი, „ნიუ ჯერსიში" ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას მთავარი კონკურენტი. „ნიუ ჯერსისგან" განსხვავებით, „დალასის" სასტარტო ხუთეულში ეშმეიერს ადგილს არავინ ანდობს. იგი შონ ბრედლის ყოველ თამაშში 10-15 წუთით დაასვენებს და დალასელები მადლიერნი იქნებიან, თუ ეშმეიერი მათ ხუთ-ხუთ ქულამოხსნას შეაშველებს.

რაც შეეხება თავად აყლაყუდა, 229-სანტიმეტრიან ბრედლის, იგი აღარაა თავისუფალი აგენტი. ნბა-ს ყველაზე წონოლა კალათბურთელმა „დალასთან" ახალი კონტრაქტი დადო. არ ვიცით, არ თქმულა, რამდენწლიანია მისი ხელშეკრულება, თუმც რადგან იგი ამჟამად 29 წლისაა და გაიძახის, კარიერის „დალასში" დასრულება მინდაო, სავარაუდოდ, კონტრაქტი ერთ-ორ წლიანზე მეტი უნდა იყოს. ბოლო სეზონში ბრედლი „დალასს" მატჩში საშუალოდ 7,1 ქულით, 7,4 მოხსნითა და 2,78 დაფარებით ახეირებდა. ამ უკანასკნელი მონაცემით იგი მეხუთეა ლიგაში, ერთ დროს კი პირველიც იყო.

კიდევ ერთი სიახლე. როგორც ჩანს, სამ ათეულ წელს მიტანებულ ბრედლის ამერიკის ნაკრებში თამაშის იმედი გადაეწურა და საერთაშორისო დონეზე თამაშის წყურვილმა ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაადგმევინა. ისეთი დონის გუნდში, როგორიც გერმანიის ეროვნული ნაკრებია, ბრედლისთანა კაცისთვის იოლად გამოიძებნება ადგილი. ჰოდა, შონმაც ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო და ეს სულაც არ გასჭირვებია, რადგან გერმანიაშია დაბადებული. ასე რომ, სულაც არაა გამორიცხული, შონ ბრედლი სექტემბერში თურქეთში გასამართ ევროპის ჩემპიონატში დალასელი თანაგუნდელის, მძლავრი დირკ ნოვიცკის მხარდამხარ ვიხილოთ.

მაიკლ ჯორდანის კალათბურთიდან წასვლის შემდეგ ჩაძირული „ჩიკაგო ბულზი" ცხრილის ზედაპირზე ვერა და ვერ ამოტივტივდა. „ხარები" სულაც არ აქტიურობენ, თავისუფალ აგენტთა ბაზარზეც მხოლოდ ედი რობინსონი შეიძინეს. ეს მაქსიმუმ საშუალო გაქანების ჯეელი ამ სამი დღის წინ „ბულზმა" „შარლოტ ჰორნეტსიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით წაიყვანა. ძნელია, ასეთი ბიჭებით შორს მიმავალი გეგმები დასახო.

დასრულდა ხორვატი ცენტრის, ჟან ტაბაკის შვიდწლიანი ვოიაჟი ნბა-ში. მას შემდეგ, რაც ბოლო ორი წელი „ინდიანა პეისერზში" გაატარა, ტაბაკმა იქიდან აბარგება გადაწყვიტა. ამის ერთ-ერთი მიზეზი „ინდიანას" პრეზიდენტის, დონი უოლშის სიტყვები უნდა იყოს, ჩვენ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს და შავი სამუშაოს შემსრულებელი კაცი გვჭირდება, ტაბაკი კი სწორედ ასეთიაო. ტაბაკს ამ სიტყვებმა გული ატკინა და ამიტომაც მიდისო, წერენ ამერიკული გაზეთები. ხორვატმა კი ატლანტის ოკეანე გადმოსერა და თავისი ბედი ერთი წლით სახელოვან მადრიდის „რეალს" დაუკავშირა.

## ევროკალათი

ეროვნული ბიბლიოთეკა



რიმას კურტინაიტისის (№10) ძველი დიდება და ახლანდელი მინისტრობა პოლიტიკურ ინტრიგებს შეეწირა

**უახლოესი** წარსულის ლიტვური კალათბურთის ვარსკვლავმა, ოლიმპიური ოქროსა და ორი ბრინჯაოს მფლობელმა რიმას კურტინაიტისმა, რომელიც ბოლო ოთხი წელი ქვეყნის სპორტის მინისტრი იყო, გუშინ თანამდებობა დატოვა. კურტინაიტისის გადადგომა ამ ბოლო დროს მის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის ლოგიკური შედეგია. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმე დღის წინ ლიტვის პრემიერ-მინისტრმა ალგირდას ბრაზაუსკასმა, რომელიც საბჭოთა ხანაში ლიტვის კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი იყო, ყოფილ ვარსკვლავს მის დაქვემდებარებაში მყოფ ათ სპორტულ ფედერაციას შორის სახსრების არაადექვატურად განაწილებაში დასდო ბრალი და პოსტის დატოვება მოსთხოვა.

როგორც ყოფილი მინისტრი გადადგომამდე აცხადებდა, ეს ყველაფერი უკავშირდება იმას, რომ იგი ოპოზიციური, ლიტვის კონსერვატორული პარტიის აქტიური მხარდამჭერია, ლიტვის ხელისუფლებაში კი ამჟამად მემარცხენეები არიან. კურტინაიტისის თქმით, ეს ბრალდებები სრულიად უსაფუძვლოა და მისმა მტრებმა, მემარცხენეებმა საგანგებოდ გამოიგონეს, რათა იგი თავიდან მოეშორებინათ. „თავისუფლად შემიძლია დავამტკიცო, რომ ეს ყველაფერი სიცრუეა. ჩემს წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას სპორტთან არანაირი კავშირი არ აქვს და იმით არის გამოწვეული, რომ წარსულში რამდენჯერმე ანტიკომუნისტური განცხადება გავაკეთე. ახლა მემარცხენეები არიან უმრავლესობაში და მათ შორის არის ძველი, კომუნისტური დროის ჯგუფი, რომელსაც ხელს არ აძლევს, რომ ეს თანამდებობა მეკავოს" — განაცხადა რიმას კურტინაიტისმა. მისივე თქმით, მან უაზრობად ჩათვალა გაბატონებულ კლანთან ჭიდილი და დროულად დაიხურა ქუდი.

**იუგოსლავიის** ნაკრების ცენტრს, „დეტროიტ პისტონზში" ახალგადაბარგებულ ჟელკო რებრაჩას ახალ გუნდში კონკურენციას თანამემამულე გაუწევს. ბელგრადის „პარტიზანის" ყოფილ ცენტრს, 22 წლისა დ 214-სანტიმეტრიან რადკო ვარდას ნბა-ში სათამაშოდ გაეხსნა გზა.

ორიოდე კვირის წინ ვარდამ „პისტონზთან" ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, მაგრამ შტატებში მის გამგზავრებას წინ აღუდგა იუგოსლავიის კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც მოთამაშეს, რომელსაც 23 წელი არ შესრულებია, უფლება არ აქვს, კარიერა ქვეყნის გარეთ გააგრძელოს. გამონაკლისი ხდება იმ შემთხვევაში, თუ კალათბურთელს ნბა-ს დრაფტის პირველ წრეში აირჩევენ. ორი დღის წინ კი იუგოსლავიის კალათბურთის უფროსობამ ვარდას მიღწევა გაითვალისწინა და ახალგაზრდა კალათბურთელს ნბა-ში გამგზავრების ნება დართო.

**კიდევ** ერთ იუგოსლაველ ცენტრს, პრედრაგ დრობნიაკს, რომელიც სტამბოლის „ეფესში" გამოდის და წლეულს თურქული ლიგის უძვირფასესი მოთამაშე გახდა, ბევრი არაფერი უკლია „სიეტლ სუპერსონიქსის" მაისურის მორგებამდე. ბოლო ერთი თვეა, რაც იგი ნბა-ს ერთ-ერთ საზაფხულო ლიგაში „ზებგერითების" შემადგენლობაში თამაშობს. დრობნიაკი თანამემამულის, „სიეტლის" მიერ წლევანდელ დრაფტში მეთორმეტე ნომრად აყვანილი ვლადიმირ რადმანოვიჩის მხარდამხარ ირჯებოდა. იუგოსლაველმა ცენტრმა „სონიქსის" ხელმძღვანელობას თავი ძალიან მოაწონა. საჩვენებელ თამაშებში პრედრაგმა თავისი ნიჭი და შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოაჩინა. მაგრამ დღესდღეობით, ისევე როგორც რადმანოვიჩს, დრობნიაკსაც არ გაუფორმებია კონტრაქტი. თუმცა, როგორც თვითონ აცხადებს, ეს მალე მოხდება. „მართალია, „სუპერსონიქსთან" კონტრაქტი ჯერ არ მაკავშირებს, მაგრამ საქმის ვითარებიდან გამომდინარე დარწმუნებული ვარ, მას ხელს ათიოდ დღეში მოვაწერ და ნოემბრიდან უკვე შემეძლება რადმანოვიჩთან ერთად თამაში. გუნდთან ხელშეკრულება, ჩემი არ იყოს, არც მას გაუფორმებია, თუმც არა მგონია, ამ მხრივ რაიმე პრობლემა შეექმნას. რადმანოვიჩი ხომ „სიეტლმა" დრაფტში მეთორმეტე ნომრად აიყვანა".

**ირაკლი პერტაია**



პრედრაგ დრობნიაკი დაწინაურდა: „ეფესის" იუგოსლაველი სიეტლელი ხდება

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

## კროკო

### გერმანია. ბუნდესლიგა. მე-3 ტური

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | მიუნხენი-ჰამბურგი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.30 | 002 | შტუტგარტი-ვერდერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.30 | 003 | კოტბუსი-ნიურნბერგი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.30 | 004 | ფრაიბურგი-ჰერტა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 006 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,4 |
| 18.30 | 007 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 008 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 009 | ზანქტ პაული-ჰანზა | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.30 | 010 | მიონხენგლადბახი-შალკე | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-3 ტური

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 014 | ალემანია-ობერჰაუზენი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 18.00 | 015 | უნიონი-ალენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 016 | უნტერჰახინგი-ჰანოვერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.00 | 017 | ფიურტი-ბაბელსბერგი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 18.00 | 018 | აინტრახტი-შვაინფურტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 019 | აინტრახტი-შვაინფურტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

13 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 021 | კარლსრუე-ზაარბრიუკენი | 1,95 | 3,1 | 3,5 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.). მე-3 ტური

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 024 | ფორტუნა-ქემნიცი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 17.00 | 025 | აუე-ესენი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 17.00 | 026 | მიუნსტერი-ოსნაბრიუკი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 027 | დიუსელდორფი-დრეზდენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.00 | 028 | ვერდერი(მ)-ლიუბეკი | 3,6 | 3,1 | 1,9 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.). მე-3 ტური

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 034 | ვეჰენი-ჰოფენჰაიმი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 17.30 | 035 | ანსბახი-კიკერსი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 18.00 | 036 | ტრირი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 18.00 | 037 | აალენი-რეგენსბურგი | 1,7 | 3,4 | 4,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 1-ლი ტური

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 038 | ბრედფორდი-ბარნსლი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 039 | ჯილინგემი-პრესტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 040 | გრიმსბი-ქრიუ | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 041 | მილუოლი-ნორვიჩი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 042 | ნოტინგემი-შეფილდი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 043 | როტერჰემი-კრისტალ პალასი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 044 | სტოკპორტი-ქოვენთრი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 19.00 | 045 | უოლსოლი-ვესტ ბრომვიჩი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 046 | უიმბლდონი-ბირმინგემი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 047 | ვულვერჰემპტონი-პორტსმუთი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.15 | 048 | სიტი-უოტფორდი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.15 | 049 | უენსდი-ბარნლი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 1-ლი ტური

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 050 | ბლეკპული-რედინგი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 051 | კემბრიჯი-ბრაიტონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 052 | კარდიფი-უიკომბი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 053 | ჩესტერფილდი-კოლჩესტერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 054 | ჰადერსფილდი-ბორნმუთი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 19.00 | 055 | ნორთჰემპტონი-ბრისტოლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 056 | პორტ ვეილი-ნოტსი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 057 | ქუინზ პარკი-სტოკი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 058 | სუინდონი-პიტერბრო | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 059 | ტრანმერი-ბერი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 060 | უიგანი-ბრენტფორდი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 061 | რექსემი-ოლდემი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 1-ლი ტური

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 062 | როვერსი-ტორკი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 063 | კარლაილი-ლუტონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 064 | ჩელტენემი-ლეიტონი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 065 | ექსეტერი-ჰალი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 066 | ჰარტლპული-მენსფილდი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 067 | კიდერმინსტერი-სკანთორპი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 068 | ლინკოლნი-ჰალიფაქსი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 069 | მაკლსფილდი-სუონსი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 070 | ოქსფორდი-როჩდეილი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 071 | პლიმუთი-შრიუსბერი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 072 | საუთენდი-დარლინგტონი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 19.00 | 073 | იორკი-რაშდენი | 2,2 | 3,3 | 2,8 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-3 ტური

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 074 | რენი-მონაკო | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 075 | ტრუა-ნანტი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 076 | სედანი-გენგამი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 23.00 | 077 | პსჟ-სოშო | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 078 | მონპელიე-მეცი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 079 | ლანსი-მარსელი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 23.00 | 080 | ბორდო-ლილი | 1,65 | 3,0 | 5,6 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 081 | ლორიანი-ოსერი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.45 | 082 | ბასტია-ლიონი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-3 ტური

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 265 | ვასკეალი-კრეტეი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 23.00 | 084 | მარტიგი-ბოვე | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.00 | 085 | სენტ ეტიენი-ლე მანი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 086 | ნიცა-ნიმი | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 087 | ლავალი-ნიორი | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 088 | ისტრი-სტრასბური | 3,1 | 2,8 | 2,3 |
| 23.00 | 089 | გენიონი-შატორუ | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 23.00 | 090 | ამიენი-გრენობლი | 1,95 | 2,8 | 4,0 |
| 23.00 | 091 | აიაჩო-კაენი | 1,75 | 2,9 | 4,7 |

### პორტუგალია. I ლიგა. 1-ლი ტური

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 094 | ბრაგა-ლეირია | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 01.00 | 095 | ვარზიმი-ბენფიკა | 3,8 | 3,2 | 1,8 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 096 | სალგეირუში-ფარენსე | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| 21.00 | 097 | ფერეირა-ბელენენსეში | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 098 | სპორტინგი-პორტუ | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 01.00 | 099 | გიმარაეში-ჟილ ვისენტე | 1,7 | 3,1 | 4,7 |

13 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 100 | მარიტიმუ-სეტუბალი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

### პორტუგალია. II ლიგა. 1-ლი ტური

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 101 | შავეში-ოლივეირენსე | 1,65 | 3,2 | 5,0 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 102 | რიუ ავე-მაია | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 20.00 | 103 | ამადორა ლეცა | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 20.00 | 104 | ნასიონალი-ნავალი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 21.00 | 105 | ავეში-ოვარენსე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 21.00 | 106 | ესპინიუ-მარტიმონენსე | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 21.00 | 107 | ლამაში-კამპომაიორენსე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 01.00 | 108 | აკადემიკა-პენაფიელი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

### ბელგია. I დივიზიონი. 1-ლი ტური

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 110 | ანდერლეხტი-ანტვერპენი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 111 | ანდერლეხტი-ანტვერპენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 112 | გენკი-ბევერენი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.00 | 113 | ლიერსი-ლოკერენი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 23.00 | 114 | გენტი-სენტ ტრუიდენი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 115 | ლომელი-მოლენბეკი | 1,7 | 3,3 | 4,2 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 118 | ბრიუგე-ვესტერლო | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 119 | ბრიუგე-ვესტერლო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.00 | 120 | აალსტი-მუსკრონი | 2,5 | 3,0 | 3,5 |
| 18.00 | 116 | ბეერსხოტი-ლუვიე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 117 | შარლერუა-სტანდარდი | 2,6 | 3,1 | 2,4 |

### ჩეხეთი. მე-3 ტური

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 123 | სლავია-ჰრადეც კრალოვე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 124 | სლავია-ჰრადეც კრალოვე 0:1 | 1,35 | 3,8 | 4,0 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 125 | ბანიკი-იაბლონეცი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.30 | 126 | ტეპლიცე-დრნოვიცე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.30 | 127 | ბრნო-ჟიჟკოვი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.30 | 128 | ბოჰემიანსი-სიგმა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.30 | 129 | სინოტი-პრჟიბრამი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.30 | 130 | ბლშანი-ოპავა | 1,6 | 3,4 | 5,0 |

### პოლონეთი. მე-4 ტური. A ჯგუფი

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 132 | ოდრა-ვიძევი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.15 | 133 | გურნიკი-ვისლა | 3,5 | 3,1 | 1,95 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 134 | ოსტროვეცი-პოლონია | 3,1 | 3,0 | 2,2 |

### პოლონეთი. მე-4 ტური. B ჯგუფი

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 135 | რადომსკო-რუხი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

12 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 136 | სტომილი-პოგონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 137 | ლეგია-გროცლინი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 138 | ლეგია-გროცლინი 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,4 |
| 20.00 | 139 | შლიონსკი-ამიცა | 2,4 | 3,0 | 2,7 |

### თურქეთი. 1-ლი ტური

11 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 141 | გიოზთეფე-ბურსა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 21.00 | 142 | გენჩლერბირლიგი-დიარბაქი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 21.00 | 143 | ფენერბაჩე-სამსუნი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 144 | ფენერბაჩე-სამსუნი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 21.00 | 145 | რიზე-ქოჯაელი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 146 | ისთანბული-მალათია | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 21.00 | 147 | ანთალია-ანკარაგიუჯიუ | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 148 | დენიზლი-იოზგათი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.00 | 149 | გაზიანთეფი-გალათასარაი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა. მე-3 ტური**

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 150 | სენტ ჯონსტონი-დანდი იუნ. | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 151 | სელტიკი-ჰართსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 152 | სელტიკი-ჰართსი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 153 | დანდი-ლივინგსტონი | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| 19.00 | 154 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 21.35 | 155 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 4,2 | 3,4 | 1,65 |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 156 | მოზერუელი-კილმარნოკი | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**შოტლანდია. I დივიზიონი. მე-2 ტური**

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 157 | არბროა-ეირდრი | 2,1 | 3,3 | 3,0 |
| 19.00 | 158 | ეირი-როსი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 19.00 | 159 | ინვერნესი-ფალკირკი | 2,1 | 3,3 | 3,0 |
| 19.00 | 160 | რეითი-პარტიკი | 2,3 | 3,3 | 2,6 |
| 19.00 | 161 | სენტ მირენი-კლაიდი | 1,5 | 3,6 | 5,6 |

**შოტლანდია. II დივიზიონი. მე-2 ტური**

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 162 | ალოა-მორტონი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 19.00 | 163 | კლაიდბენკი-ჰამილტონი | 2,2 | 3,3 | 2,7 |
| 19.00 | 164 | კოუდენბითი-ბერუიკი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 165 | ქუინი-ფორფარი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 166 | სტენჰაუზმური-სტრანრარი | 2,8 | 3,3 | 2,2 |

**შოტლანდია. III დივიზიონი. მე-2 ტური**

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 167 | ალბიონი-სტირლინგი | 2,6 | 3,3 | 2,3 |
| 19.00 | 168 | ბრეჩინი-ისტ ფაიფი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 19.00 | 169 | ისტ სტირლინგი-მონროუზი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 170 | პიტერჰედი-დამბარტონი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 171 | ქუინზ პარკი-ილჯინი | 1,65 | 3,6 | 4,4 |

**ავსტრია. მე-7 ტური**

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 172 | ტიროლი-რიდი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 22.00 | 173 | ზალცბურგი-კერნტენი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 22.30 | 174 | ადმირა-შტურმი | 4,7 | 3,5 | 1,6 |

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.30 | 176 | გრაცერი-ბრეგენცი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 177 | გრაცერი-ბრეგენცი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.30 | 175 | აუსტრია-რაპიდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-7 ტური**

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 178 | ბაზელი-იანგ ბოისი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.30 | 179 | სერვეტი-გრასჰოპერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 180 | ლოზანა-აარაუ | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.30 | 181 | სიონი-ლუცერნი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 22.30 | 182 | ციურიხი-ქსამაქსი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 19.15 | 183 | სენტ გალენი-ლუგანო | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. მე-7 ტური**

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 185 | ბადენი-კარუჟი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 20.30 | 186 | ვინტერთური-ვილი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 22.30 | 187 | კრინსი-დელემონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 188 | ივერდონი-კონკორდია | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 19.15 | 189 | ვადუცი-ლოკარნო | 1,6 | 3,5 | 4,7 |

**დანია. მე-4 ტური**

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 190 | აკადემისკი-ვიბორგი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.00 | 191 | ლიუნგბიუ-ბრიონდბიუ | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 18.00 | 192 | ვაილე-სილკებორგი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 193 | ორჰუსი-მიდტიულანდი | 2,3 | 3,1 | 2,6 |
| 20.00 | 194 | ოდენსე-ოლბორგი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 20.05 | 195 | ესბიერგი-კოპენჰაგენი | 3,5 | 3,3 | 1,85 |

**რუსეთი. 21-ე ტური**

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 196 | ცსკა-როსტსელმაში | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 16.00 | 197 | როტორი-ზილ | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 16.00 | 198 | სპარტაკი-სატურნი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 16.00 | 199 | ჩერნომორეცი-ფაკელი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 16.00 | 200 | სოკოლი-დინამო | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 16.00 | 201 | ზენიტი-კრილია | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 16.00 | 202 | ლოკომოტივი-ტორპედო | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 16.00 | 203 | ანჟი-ალანია | 1,7 | 3,2 | 4,0 |

**შვედეთი. მე-17 ტური**

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 206 | მალმიო-ტრელებორგი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| | 207 | მალმიო-ტრელებორგი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,2 |
| 20.00 | 208 | იორებრო-ნორჩიოპინგი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.00 | 209 | იორგრიტე-ჰალმსტადი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 22.00 | 210 | აიკ-ჰელსინგბორგი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 23.15 | 211 | ელფსბორგი-სუნდსვალი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**ნორვეგია. მე-18 ტური**

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 212 | ბრინი-მოლდე | 3,3 | 3,3 | 1,95 |
| 21.00 | 213 | ლინი-ლილესტრიომი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 21.00 | 214 | მოსი-ბოდიო გლიმტი | [illegible] | 3,2 | 3,1 |
| 21.00 | 215 | ოდ გრენლანდი-სტაბეკი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 21.00 | 216 | სოგნდალი-ბრანი | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| 21.00 | 217 | სტრიომგოდსეტი-ვიკინგი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 23.05 | 218 | ტრომსიო-რუსენბორგი | 5,3 | 3,3 | 1,55 |

**ფინეთი**

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 220 | ჰაკა-ტამპერე | 2,0 | [illegible] | 3,3 |
| 20.30 | 221 | ჰიკ-მიუპა | 2,0 | 3,0 | 2,2 |
| 20.30 | 222 | ჯაზი-ლაჰტი | 2,4 | 3,2 | 2,4 |
| 20.30 | 223 | კუოპიო-იოკერიტი | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 20.30 | 224 | ვაასა-ინტერი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

**ინგლისი. სუპერთასი (კარდიფში)**

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 225 | მანჩესტერი-ლივერპული | 2,1 | 3,1 | 3,2 |

**იტალია. თასის I ეტაპი**

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 226 | ასკოლი-კომო | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 227 | კოზენცა-ვენეცია | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.30 | 228 | პალერმო-ლივორნო | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.30 | 229 | ნაპოლი-სიენა | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 23.30 | 230 | მოდენა-ლუმეცანე | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 23.30 | 231 | სამპდორია-ჩიტადელა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 23.30 | 232 | კროტონე-ვიჩენცა | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.30 | 233 | ემპოლი-ანკონა | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 23.45 | 234 | ტრევიზო-ბარი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| 23.45 | 235 | არეცო-ჯენოა | 2,7 | 2,7 | 2,6 |
| 23.45 | 236 | რეჯინა-კალიარი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.45 | 237 | მონცა-აველინო | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.45 | 238 | პესკარა-მესინა | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.45 | 239 | პრატო-ტერნანა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 23.45 | 240 | სალერნიტანა-კატანია | 1,55 | 3,1 | 6,0 |
| 24.00 | 241 | პისტოიეზე-კიევო | 2,9 | 2,8 | 2,4 |

**ჰოლანდია. სუპერთასი**

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 242 | პსვ-ტვენტე | 1,5 | 3,8 | 5,3 |

**ტურში გატანილი გოლები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **11 აგვისტო** | | |
| 18.30 | 701 | გერმანია (მე-3) | 24 და ნაკლები – 1,9; | 26 და მეტი – 1,9 |
| | | **11 აგვისტო** | | |
| 20.15 | 702 | საფრანგეთი (მე-3) | 22 და ნაკლები – 1,9; | 24 და მეტი – 1,9 |
| | | **11 აგვისტო** | | |
| 23.00 | 704 | ბელგია (1-ლი) | 26 და ნაკლები – 1,9; | 28 და მეტი – 1,9 |
| | | **11 აგვისტო** | | |
| 16.00 | 708 | რუსეთი (21-ე) | 18 და ნაკლები – 1,9; | 20 და მეტი – 1,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113,
ფიროსმანის ქუჩა №7ა

ძობულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

გურჯაანში — დავით გურამიშვილის ქუჩა №28

**1 აგვისტოდან კროკო ხუთშაბათობითაც მუშაობს. დასვენების დღე მხოლოდ ორშაბათი იქნება. სამუშაო დღეებია: სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა**

# შფროსთან წაგებულს უმცროსი ელის

REUTERS ცინცინატიდან



ჟან მაიკლ გემბილს წვიმამ ხელი ვერ შეუშალა

**ცინცინატი. „მასტერსი“**
**ჰარდი. საპრიზო 2,95 მილიონი $**

გუსტავო კუერტენმა გორან ივანიშევიჩი ცინცინატის „მასტერსის“ მერვედფინალში 6:2, 6:1 დაამარცხა და მეოთხედფინალში ევგენი კაფელნიკოვს შეხვდება,

ივანიშევიჩი წაგებას არ დიდად აუღელვებია. უიმბლდონზე გამარჯვების შემდეგ იგი წააგავს დანაყრებულ ადამიანს, რომელსაც ნაკლებად აღელვებს, დესერტიც ერგება თუ არა. ხორვატი, სამარცხვინო წაგების მიუხედავად, მშვიდად საუბრობს იმაზე, რომ დალამებულზე თამაში უჭირს, ბურთს ცუდად ხედავს. „ახლა საღამოს თამაში უფრო ხშირად მიწევს — ჩივის ივანიშევიჩი — სანამ უიმბლდონს მოვიგებდი, ერთხანს ისეთ მიკარგულ კორტებზე ვთამაშობდი, კაციშვილი ვერ მიპოვიდა, მაგრამ სიტუაცია შეიცვალა — ცენტრალურ კორტებზე სულ უფრო მიხმობენ“.

მხედველობის გაუარესებას კუერტენიც უჩიოდა, მაგრამ ჯანმრთელობაზე იზრუნა — თვრამეტი თვეა, რაც კონტაქტურ ლინზებს ატარებს. „მე მას მოწოდება თავიდანვე ავართვი და ამან გაალიზიანა — თქვა კუერტენმა ივანიშევიჩზე — კარგად ვერ ითამაშა, მე მისგან მეტ წინააღმდეგობას ველოდი“. კუერტენს მაინცდამაინც ბევრი ეისი არ მოუწვდია, მაგრამ პირველი მოწოდებების 72 პროცენტი გამოიყენა და სულ 42-წუთიან მატჩში მეტოქის მოწოდებებზე ხორვატმა მხოლოდ 4 ქულა მოიგო.

მაშინ, როცა ამერიკელი ჟან მაიკლ გემბილი და არგენტინელი გილერმო კანასი თამაშობდნენ, კოკისპირულად გაწვიმდა. ამ დროს გემბილი 6:3, 5:4-ს იგებდა და ავდარმა რომ ბოლო გეიმში მოუსწრო, ნერვები მოეშალა, თუმცა კორტზე ორი საათის შემდეგ მიბრუნებულმა 2 წუთში დასვა წერტილი. მეოთხედფინალში იგი ინგლისელ ტიმ ჰენმანთან თამაშობს. ესენი ბოლოს ორი წლის წინ შეხვდნენ.

პატრიკ რაფტერიც მეოთხედფინალში გავიდა.

**მერვედფინალი: გუსტავო კუერტენი (ბრაზილია, 1) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 14) 6:2, 6:1; ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 6) — ალბერტი მარტინი (ესპანეთი) 6:2, 2:6, 6:4; ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:2, 6:3; ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 5) — მაქს მირნი (ბელარუსი) 1:6, 6:4, 7:6(7:5); პატრიკ რაფტერი (ავსტრალია, 8) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 7:6(9:7), 6:2; ჟან მაიკლ გემბილი (აშშ) — გილერმო კანასი (არგენტინა) 6:3, 6:4; ტიმ ჰენმანი (დიდი ბრიტანეთი, 7) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 7:5, 6:3; გრეგ რუზედსკი (დიდი ბრიტანეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:3, 6:3**

**ლოს ანჯელესი**
**„ესტილ კომ კლასიკი“**
**ჰარდი. საპრიზო 565 ათასი $**

კალიფორნიაში მაინცდამაინც სენსაციური არაფერი ხდება. მონიკა სელეშმა სანდრინ ტესტიუს მოუგო და მომდევნო წრეშია. ექსიუგოსლაველმა ფრანგი ზედიზედ მეშვიდედ დაამარცხა და საერთოდ, მათი პირადი შეხვედრების ანგარიში 9:3-ია. ამის მიუხედავად, სელეში ტესტიუზე პატივისცემით საუბრობს.

„მე და სანდრინი მუდამ მარათონულ მატჩებს ვთამაშობთ — ამბობს სელეში — ორივე აზარტულები ვართ და კორტზე მაქსიმუმს ვაკეთებთ“.

ახლაც ასე იყო. 3:6-ზე წაგებული პირველი სეტის შემდეგ მეორის ტაიბრეიკამდე მისულმა სელეშმა წაგებას ჩახედა თვალებში და ძლივს 7:5 მოიგო. გადამწყვეტ სეტშიც მხოლოდ ერთი მოწოდება აართვა მეტოქეს, ამ დროს კი ლინდსი დევენპორტმა თითქმის დაუძაბავად, 62 წუთში მოუგო ჩეხ დაჯა ბედანოვას.

სელეშის მომდევნო მეტოქე ვენუს უილიამსი იქნება, რომელზეც უფროსი [illegible] ამოიყაროს. ვენუსმა სელეშს, გეხსომებათ, წინა ტურნირის ფინალი მოუგო სან დიეგოში და არც სერენას ძლევაა იოლი საქმე — უმცროს უილიამსს სელეშისთვის სამივე პირადი შეხვედრა აქვს მოგებული. ტესტიუსი არ იყოს, სელეში სერენაზეც პატივისცემით საუბრობს, დაახლოებით ასე: „მისი თამაში უალრესად მომწონს, ორივე ხელით კარგად ურტყამს და საუცხოოდ აწოდებს. ძალიან ძნელი მატჩი მელის“.

შემდეგ: მეოთხედფინალში ერთმანეთს გამოსცდიან მესამე და მეხუთე ნომრები, კიმ კლაისტერსი და ნატალი ტოზია. კლაისტერსმა არცთუ დაუძაბავად გააგდო ავსრალიელი ალისია მოლიკი, ტოზიამ კი ქაოსურად მოუგო იუგოსლაველ ელენა დოკიჩს.

მატჩი ტოზიას სრული უპირატესობით დაიწყო. ფრანგმა კრიალოსანივით ჩამოშარცვლა მოგებული გეიმები და სეტი 6:0 დასრულა. მეორე სეტში ახლა თითქოს მარტო დოკიჩი იდგა კორტზე და 0:6, მესამეში კი ტოზია ისევ გონს მოეგო და იუგოსლაველმა ორი გეიმის მეტი ვერ მოიგო. რუსი კეკლუცის, ანა კურნიკოვას ნაცვლად ტურნირზე დაშვებულმა ინდონეზიელმა ვინე პრაკუსიამ საათზე ცოტა მეტ ხანში დაყარა ფარ-ხმალი ამერიკელ ემი ფრეზესთან.

**მერვედფინალი: ლინდსი დევენპორტი (აშშ, 2) — დაჯა ბედანოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:3; მონიკა სელეში (აშშ, 6) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი, 10) 3:6, 7:6 (7:5), 6:4; კიმ კლაისტერსი (ბელგია) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 7:6(7:3), 6:3; ნატალი ტოზია (საფრანგეთი, 5) — ელენა დოკიჩი (იუგოსლავია, 11) 6:0, 0:6, 6:2; ელენა დემენტიევა (რუსეთი, 7) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:4, 6:4; ემი ფრეზერი (აშშ, 12) — ვინე პრაკუსია (ინდონეზია) 7:5, 6:3**

**დავით გულუა**


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

სამი ერის პირველობა

# ოზები შავ ჯოჯოხეთში



ჯონ ილზი ახალ ზელანდიაში ბოლოსლა ითამაშებს

**დღეს** ავსტრალია ახალ ზელანდიაში ითამაშებს და გამოჩნდება, მისი სამხრეთ აფრიკაში დამარცხება პატარა გაუგებრობა იყო თუ მწვერვალიდან დაშვების დასაწყისი.

ბლედისლოუს თასის პირველი მატჩი ამ კითხვაზე, ალბათ, ნათელ პასუხს გაგვცემს. ოპტიმისტები პრეტორიაში წაგებას უბრალოდ სტივენ ლარკემის არყოფნით ხსნიან, გუნდი მალე ვერ გადაეწყო მის გარეშე სათამაშოდ. თანაც იმასაც ამატებენ, აფრიკაში არასოდეს გვქონია იოლი გასეირნებებიო. კრიტიკოსები „ვოლაბებს" ძირითადად იერიშის დაგვირგვინების შეუძლებლობას უკიჟინებენ, სამხრეთ აფრიკასთან მეტოქის ლელოს რამდენჯერ მიეახლეთ და ერთხელაც ვერ იხეირეთო. თუმცა ავსტრალიამ აფრიკელებთან უფრო მეტი ქულა აიღო, ვიდრე ახალმა ზელანდიამ, ლელო კი „ქურციკებს" ვერც „შავებმა" გაუტანეს.

ასეა თუ ისე, ვინც ამბობს, ავსტრალია დასუსტდაო, ისინი უფრო მართლები არიან. მართალია, ოზებმა ბრიტანელ „ლომებს" სერია მოუგეს, მაგრამ როგორ? პირველი მარცხის შემდეგ მეორე მატჩში ჯო როფის რომ არ გაებრწყინა, ისევ ევროპელები იხეირებდნენ, გადამწყვეტი შეხვედრისთვის კი ჩრდილოელები თვენახევრიანი ტურნეთი გადაღლილნი იყვნენ.

როდ მაკქუინის წასვლამაც ახალი გუნდის აშენების აუცილებლობა წარმოშვა. ავსტრალია უკვე აღარაა ხელშეუხებელი და ილზის კარიერის დასრულებისა და როფის ევროპაში (ფრანგულ „ბიარიცში") გადაბარგების შემდეგ კიდევ უფრო გაუჭირდება. თუმცა ეს მომავლის საქმეა და დღევანდელ მატჩთან კავშირი არ აქვს.

მაკქუინის შემცვლელმა ედი ჯონსმა ცუდ დროს ჩაიბარა გუნდი. „მას ბევრი ცვლილებების განხორციელება არ შეუძლია, რადგან ახლა გაგანია სეზონია" — თქვა როფმა და მართალიცაა. ჯონსის ერა, შესაბამისად, გაისიდან დაიწყება. მანამდე კი იგი თითქოს სხვის აწყობილ მანქანას მართავს, რომლის მექანიზმსაც სათანადოდ არ იცნობს. აქედან გამომდინარე, ახალ ზელანდიასთანაც უნდა გაუჭირდეს სწორი მიმართულებით სვლა.

თითქოს მთავარი პრობლემა თავდასხმაა, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. ოზთა დაცვაც საკმაოდ არეული იყო „ქურციკებთან". არადა, მსოფლიო ბატონობას ავსტრალიამ სწორედ შეუვალი დაცვის ხარჯზე მიაღწია. დღეს კი ძალიან გაუჭირდება ჰოულეტის, უილსონისა თუ ლომუს შეჩერება. ისინი ხომ გაცილებით საშიშნი არიან, ვიდრე აფრიკელთა სამმეოთხედელები.

„პრეტორიული გეენის შემდეგ დანიდინურ ჯოჯოხეთში" — ასეთი რამ დაწერა ერთმა ავსტრალიურმა გაზეთმა. საქმე ისაა, რომ 88-წლიანი ისტორიის მანძილზე დანიდინის „ქარისბრუკი" „ვოლაბთა" და „ქურციკთა" არც ერთ ნაკრებს არ დაუმარცხებია და კუნძულელებს დიდი იმედი აქვთ, რომ ეს ტრადიცია არ დაირღვევა. სტუმრებმა დანიდინის მიმართ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება უკვე გამოამჟღავნეს. ისინი მხოლოდ ხუთშაბათს ეწვივნენ ტესტის ქალაქს, რაც უიშვიათესი შემთხვევაა. „არასოდეს ვყოფილვარ იმ გუნდის წევრი, რომელსაც აქ გაუმარჯვია. იმედი მაქვს, კარიერას ისე არ დავასრულებ, ეს ხინჯად დამრჩეს" — თქვა ჯონ ილზმა, რომელიც უკანასკნელადაა ახალ ზელანდიაში, როგორც მოთამაშე.

„შავების" მთავარი მწვრთნელი უეინ სმიტი აქცენტს დაცვაზე აკეთებს. „გამარჯვებას უკეთესი დაცვის მქონე გუნდი მოიპოვებს. რა თქმა უნდა, დაცვისა და შეტევის დაცალკევება უაზრობაა, მაგრამ თუ უკან ბრწყინვალედ არ გავისარჯეთ, შეგვიძლია მოგებაზე არც ვიოცნებოთ" — თქვა სმიტმა.

ამიტომაც, შეიძლება მატჩის ბედი შერკინების მესამეხაზელების — ჯონ სმიტისა და 44-კეპიანი ტეინ რენდელის დუელმა გადაწყვიტოს, რადგან მათ ადგილს დაცვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მხარმოშუშებული ლარკემის დაბრუნებაც დიდ როლს ითამაშებს დღეს. იგი ელტონ ფლეტლის შეცვლის. პრეტორიაში უხეშობისთვის სამი კვირით დისკვალიფიცირებული დევიდ გიფინის ადგილს ჯასტინ ჰარისონი დაიკავებს.

ახალი ზელანდიის შემადგენლობაში ყველაზე აღსანიშნავი სათადარიგოთა სკამზე მარკ კუკსლის გამოჩენაა, რომელიც ნაკრებს რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა. იგი ისტორიაში ყველაზე მაღალი „შავია" (202 სმ) და პირველად 80-იანებისა და 90-იანების მიჯნაზე გამოჩნდა „ოლ ბლექსში". 1994 წლიდან მოყოლებული კი კარგა ხნით დაივიწყეს და ისევ შარშან მიიწვიეს, მაგრამ მაშინ ტრავმის გამო ვერ ითამაშა.

**ბაგი გურული**

*სავარაუდო შემადგენლობები*

**ახალი ზელანდია:** უილსონი, ჰოულეტი, უმაგა, ალატინი, ლომუ, ბრაუნი, მარშალი; ჰოფტი, ოლივერი (კაპ), სომერვილი, ტორნი, ფლეველი, მაქსველი, რენდელი, კრიბი; სათადარიგონი: ჰემეტი, ჰეიმანი, კუკსლი, ჰოლა, მაკდონალდი, მერთენსი, კელეჰერი

**ავსტრალია:** ბერკი, უოლკერი, ჰერბერტი, როფი, გრეი, ლარკემი, გრეგანი; სტილსი, ფოლი, მური, ფინიგანი, ჰარისონი, ილზი (კაპ), სმიტი, კეფუ; სათადარიგონი: ქენონი, დარვინი, კოკბეინი, ვოფი, ფლეტლი, ლეითემი, ვიტაკერი



შარშანდელი სამი ერი: ჯონა ლომუ სტივენ ლარკემს გაურბის



# გიხაროდენ, როსკიპნო!

## სამდღიანი სექსუალური რევოლუცია ბუდაპეშტში

**უნგრელებმა,** მოგეხსენებათ, კარგა ხანია, მოიპოვეს ფორმულა I-ის ეტაპის მასპინძლობის უფლება. ის კი არა, მათი საფორმულე საზრუნავი ტრასებს გასცდა და ქუჩაში გადაინაცვლა.

ბუდაპეშტში 19 აგვისტოს უნგრეთის დიდი პრიზის რბოლა გაიმართება და ქალაქში, ბუნებრივია, ტურისტების მოზღვავებას ელიან. ასეთ მსუყე ლუკმას კი პირველი უძველესი პროფესიის მიმდევრები ხელიდან რას გაუშვებენ. ქალაქის მერიასაც სწორედ ეს აღელვებს, მეძავთა გააქტიურება ჩრდილს ჩვენც მოგვაყენებს და დიდ რბოლასაცო. ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ბუდაპეშტის მერმა პროსტიტუციის სამი დღით ლეგალიზება გადაწყვიტა. ოღონდ ნეტარი სიამოვნების მიღება ჯიბესქელ ტურისტებს საგანგებოდ განკუთვნილ ადგილებში შეეძლებათ. ასევე აიკრძალება ყველანაირი სექსუალური ურთიერთობა ავტოდრომიდან თხუთმეტი მეტრის რადიუსში. უნგრულ გაზეთ „BUDAPEST SUN"-ის აზრით, მერიის გადაწყვეტილება სასურველი ვარიანტებიდან ყველაზე სწორი იყო. ამ შემთხვევაში პოლიციასაც გაუადვილდება სიტუაციის კონტროლი. მეძავებს კი ყოველგვარი ხრიკების და გაძრომ-გამოძრომის გარეშე შეეძლებათ მომსახურების საფასურის აღება, რაც ტურისტების ინტერესებშიც შედის.

# რაღა დარჩა, თურქს არ სურდეს...

**ამბიციები** მოსძალებიათ თურქებს. თურქეთის საავტომობილო სპორტის ფედერაციის თავკაცმა მუმთაზ თელინჩიოღლუმ სამშაბათს დაადასტურა, რომ სტამბოლს ფორმულა I-ის ეტაპის მასპინძლობა სურს. მან მედიას FIA-სთან (ავტორბოლის საერთაშორისო ფედერაცია) მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებაც აცნობა. გარდა ამისა, მუმთაზ თელინჩიოღლუ იმ კერძო სპონსორების დაინტერესებას ცდილობს, რომლებიც შეძლებენ პროექტში დაახლოებით სამოცი მილიონი დოლარის ინვესტიციის ჩადებას. ხსენებული თანხა ტრასის მშენებლობას მოხმარდება. „ფორმულა თურქეთს ეკონომიკურად აზეირებს. ჩვენ შეგვიძლია, ამ პროექტის რეალიზაცია სტამბოლში მოვახერხოთ. მინდა გითხრათ, რომ FIA გულთბილად შეხვდა ჩვენს წამოწყებას. ისიც ვიცი, რომ ბევრს არ ესიამოვნა ჩვენი ჩანაფიქრი, მაგრამ შევეცდები, ყველანაირი წინააღმდეგობა გადავლახო და პროექტი რეალობად ვაქციო" — თქვა მუმთაზ ელინჩიოღლუმ მედიასთან საუბარში.

თურქების ინიციატივა დაიწუნა „მაკლარენის" პილოტმა დევიდ კულჰარდმა. შოტლანდიელი მრბოლის აზრით, ეტაპების რაოდენობის გაზრდა მრბოლებზე უარყოფითად იმოქმედებს: „რაც მეტ რბოლაში მონაწილეობ, მით უფრო მეტს იმარჯვებ ან მარცხდები. ასეთ დროს იზრდება ზეწოლა როგორც ფსიქოლოგიური, ასევე წმინდა სპორტული თვალსაზრისით. შენგან სულ უფრო მეტს ითხოვენ. ასეთ დაძაბულ რიტმს შეიძლება ვერც გაუძლო და ნაადრევად წახვიდე ფორმულა I-დან. სამწუხაროდ, ზოგიერთს ეს არ ესმის და პილოტებს ისე ეპყრობა, როგორც დაქირავებულ მუშებს".

# ფეხბურთი ფორმულის დაუკრეფავში გადადის

**როგორც** ჩანს, ფეხბურთის საზღვრები ფართოვდება. ევროპის ოცდახუთმა, ჯერ დაუსახელებელმა საფეხბურთო კლუბმა გადაწყვიტა, ფული რბოლაშიც ჩადოს და საამისოდ პირველი ნაბიჯებიც გადადგა. საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა კოლინ სალივანმა განიზრახა, ჩამოაყალიბოს ავტორბოლის ახალი სერია, რომელსაც PREMIER I GP დაერქმევა და ფორმულა I-ის ალტერნატივა იქნება. გარდა ამისა, სალივანმა DALLARA-ს უკვე შეუკვეთა ოცდაოთხი ბოლიდი, რომლებიც კლუბების ფერებით იქნება მოხატული, თანამშრომლობაზე გაურიგდა JUDD-ის ინჟინრებსაც. ახალი სარბოლო სერიის დაწყება 2002 წლისთვისაა ნავარაუდევი, კალენდარში კი თორმეტი რბოლაა დაგეგმილი. აი, რა განაცხადა ამის თაობაზე PREMIER I GP-ის პრესმდივანმა ჯონ შარპმა: „ვაპირებთ, კიდევ რამდენიმე კლუბი დავაინტერესოთ ჩვენი პროექტით. ოცდახუთმა კლუბმა უკვე განაცხადა თანხმობა. ვიმედოვნებთ, მათი რიცხვი ოცდაათამდე გაიზრდება. ყველაზე მეტი — ოთხი კლუბი ინგლისს წარმოადგენს, დანარჩენებს მერე გადავანაწილებთ, როდესაც შეჯიბრის ფორმატი საბოლოოდ დამტკიცდება. პირველ ყოვლისა, გვინდა კონტრაქტი გავაფორმოთ ევროპულ გრანდებთან. დანარჩენი ვაკანსიების შევსება პრობლემას არ წარმოადგენს".

**ბაჩო სვანიძე**

გამოიწერეთ
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
ბინაში მიტანით 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი"

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# წყვილი კოცნა

„პორტუგალიის ველოტურის“ მეშვიდე ეტაპი ესპანელმა სანტი პერესმა მოიგო და უნდა ითქვას, რომ ეტაპი ურთულესი იყო — მრბოლებმა ფინიში პორტუგალიის უმაღლეს მთაზე, ტორეს პიკზე გადაკვეთეს. მაშვრალ პერესს ჯილდო საამო ერგო.




REUTERS ტორედან



REUTERS ედმონტონიდან

# სევდა

ეს ადამა ნჯიე გახლავთ, გამბიელი მორბენალი, რომლის ნაღვლიან თვალებს ყინწვისის ანგელოზის ავტორიც სიამოვნებით დახატავდა. ნჯიე მონაწილეობდა 800 მეტრის საკვალიფიკაციო გარბენში და ბოლო ადგილზე გავიდა. ცოდოა...

# წუწაობა კარგია!

უსაშველოდ ჩამოცხა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მზის დაკვრის მსხვერპლთა ჩამოთვლას უკვე თითები არ ჰყოფნის, ამიტომ ბეისბოლში „ჩიკაგო კაბზისა“ და „კოლორადო როკიზის“ მატჩისას ჩიკაგოელი ფანის მოხულიგნო საქციელს მხოლოდ დადებითი შეფასება თუ ეკუთვნის: იმ დღეს ჩიკაგოში ტემპერატურა ფარენგეიტის 101 გრადუსი იყო.





REUTERS ჰონკონგიდან

# სირიის უდაბნოში

მიდის რალი „კანი — პეტრა“, რომელიც ფოტოგრაფს დამასკოს ჩრდილოეთით 250 კილომეტრში დაუჭერია ანტიკურ ქალაქ პალმირასთან. 42 ავტო და 34 მოტო 2 აგვისტოს ფრანგული კანიდან დაიძრა და გუშინ უკვე იორდანულ პეტრაში იქნებოდა.



REUTERS პალმირადან

# კობი — მოდელი

ირკვევა: კობი ბრაიანტს არამარტო სანიმუშო კალათბურთელობა შეძლებია, თუ საჭირო გახდება, იგი კუტურიებსაც თავს მოაწონებს, როგორც ჰონკონგში, სპორტული ტანსაცმლის გამოფენაზე. ბრაიანტი გრძელ შვებულებას ნაყოფიერად იყენებს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge